

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ე ნ ე რ გ ე ტ ი კ ი ს მ ა რ ე გ უ ლ ი რ ე ბ ე ლ ი
ე რ ო ვ ნ უ ლ ი კ ო მ ი ს ი ა (ს ე მ ე კ)

დამტკიცებულია სემეკის
2001 წლის 20 მარტის
№22 გადაწყვეტილებით

წლიური ანგარიში

2000 წელი

თბილისი, მარტი, 2001 წელი.

შესავალი	3
1. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნულ ლიკომისია: სტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და ფინანსირება	4
1.1 სტრუქტურა და კადრებით უზრუნველყოფა	4
ა) კომისიის წევრები	4
ბ) კომისიის აპარატი	4
1.2 მატერიალურ- ტექნიკური აღჭურვილობა	7
ა) ოფისი და მისი მოწყობილობა	7
ბ) კომპიუტერული და კავშირგაბმულობის ტექნიკა	7
გ) სატრანსპორტო საშუალებები	7
1.3 ფინანსური უზრუნველყოფა და კონტროლი	7
ა) რეგულირების საფასური	7
ბ) ტექნიკური დანახარები	7
გ) სხვა შემოსავლები	7
დ) სემეკის საქმიანობის შემოწმება	7
2. საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა	8
2.1 ცვლილებების პროექტი საკანონმდებლო აქტებში	8
2.2 ნორმატიული დოკუმენტები	8
2.3 სადაო საკითხების გადაწყვეტა	8
3. საანგარიშო პერიოდში შიდა რეგულირების სფეროში გაწეული საქმიანობა	9
3.1 ელექტროენერგეტიკის სექტორი	9
ა) ელექტროენერგეტიკის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება	9
ბ) ტარიფის დადგენა და რეგულირება	10
გ) ლიცენზირება	16
დ) ლიცენზიის პირობებისა და წესების შესრულების შემოწმება	18
ე) პრივატიზაცია	25
ვ) ელექტრობაზრის საქმიანობის ზედამხედველობა	27
ზ) სხვა ფუნქციონირება განხორციელება	28
3.2 ბუნებრივი გაზის სექტორი	30
ა) ბუნებრივი გაზის სექტორის (მიწოდება, ტრანსპორტირება, განაწილება) და გაზმომარაგების თანამედროვე მდგომარეობა	30
ბ) ტარიფის დადგენა და რეგულირება	34
გ) ლიცენზირება	36
დ) ლიცენზიის პირობებისა და წესების შესრულების კონტროლი	37
ე) პრივატიზაციის პროცესი	40
ვ) სხვა ფუნქციონირება განხორციელება	41
3.3 სერ ტიფიკაციის სამუშაოთა ორგანიზება და კოორდინაცია	45
3.4 საზოგადოებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა	46
ა) საზოგადოებასთან ურთიერთობა	46
ბ) საერთაშორისო ურთიერთობა	47
4. დანართები	50

შესავალი

2000 წელს საქართველოს ენერგეტიკის სექტორში გატარებული რეფორმები, მათ შორის ენერგეტიკული საწარმოების განსახელმწიფოების პროცესის გაგრძელება, შეიძლება ჩაითვალოს, დარგის კრიზისიდან გამოყვანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპად. გატარებული იქნა მრავალი ღონისძიება, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის, ელექტროგადაცემის და ელექტროდისპეტჩერიზაციის 5 წლის ვადით კერძო მმართველობაში გადაცემისათვის საერთაშორისო ტენდერის მომზადება და გამოცხადება, ელექტროენერჯის გამანაწილებელი ენერგოკომპანიების გამსხვილება სამხარეო ადმინისტრაციების დონეზე, რამაც არსებული გამანაწილებელი ენერგოკომპანიების რიცხვი 100-დან 10-მდე უნდა შეამციროს და მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის ამოღების დონე.

2000 წლის აპრილში მსოფლიოში აღიარებულ ამერიკულ კომპანია AES-თან ხელი მოეწერა საქართველოს ენერგოსისტემის უმთავრესი თბოელექტროსადგურის თბილსრესის მე-9 და მე-10 ენერგობლოკების პრივატიზების ხელშეკრულებას. 5 ჰიდროელექტროსადგურის და გამანაწილებელი ენერგოკომპანიების პრივატიზების ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკთან, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკთან, სხვა დონორ ბანკებთან და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან შეთანხმებით ითავა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ, რომელიც 2001 წლის მეორე ნახევარში საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროებთან ერთად მოამზადებს და გამოაცხადებს საერთაშორისო ტენდერს.

აღდგენილ იქნა პარალელური მუშაობა რუსეთის ენერგოსისტემასთან. პრაქტიკულად შეუფერხებლად ხორციელდება იმპორტი სომხეთიდან, რეაბილიტაცია ჩაუტარდა და გამტარუნარიანობა გაიზარდა თურქეთის ენერგოსისტემასთან დამაკავშირებელ ელექტროგადამცემ ხაზებს, აღდგენილ იქნა 220 კვ ხაზი „სალხინო“. ყოველივე ეს კი მნიშვნელოვანი წინაპირობაა ელექტროენერჯის რეგიონალური ბაზრის ჩამოყალიბებისათვის, რომელზეც USAID-ის ეგიდით 2000 წელს აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობდა.

2000 წელი აღინიშნა მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის არგადამხდელთა მიმართ მკაცრი ზომების გატარებით. პრაქტიკულად გამორთული იქნა ყველა არაგადამხდელი საწარმო და გამანაწილებელი ენერგოკომპანიები. ელექტროენერჯის მოხმარების დაწესებული ლიმიტების და გრაფიკების დარღვევისათვის გატარებული იქნა შესაბამისი სანქციები. უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადდა დარგში არსებულ კორუფციას.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა ბუნებრივი გაზის სექტორში. ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სფეროში წლების მანძილზე მოქმედი „საქტრანსგაზმრევი“ შეცვალა შპს „გაზის ტრანსპორტირების სახელმწიფო კომპანია“, რომლის დამფუძნებელია გაზის საერთაშორისო კორპორაცია. ამ ცვლილებამ მეტი გამჭვირვალობა და ეფექტურობა შესძინა ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების პროცესს.

თბილგაზის მართვაში აქტიურად ჩაერთო USAID-ის კონტრაქტორი საკონსულტაციო ფირმა PA Consulting, რომლის მიზანია თბილგაზში თანამედროვე მენეჯმენტის დანერგვა, გამოვლენილი ფინანსური და ტექნიკური ნაკლოვანების გამოსწორება და მისი პრევატიზებისათვის მომზადება.

2000 წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა კომისიის საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის, აგრეთვე საზოგადოებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განმტკიცების მიზნით.

ეს წელი ერთი მნიშვნელოვანი ფაქტითაც აღინიშნა - საქართველო გაწევრიანდა ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოების რეგიონალურ ასოციაციაში. ჩვენი ქვეყანა აქ, სხვა 15 ქვეყნის ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიებთან ერთად, დამფუძნებლის როლში გამოვიდა.

ზემოთ აღნიშნულ საკითხებში თავის კომპეტენციის ფარგლებში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია. ამ და ენერგეტიკის სექტორში გატარებულ სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებ მოცემულია წინამდებარე ანგარიშში.

1. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია: სტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და ფინანსირება

1.1. სტრუქტურა და კადრებით უზრუნველყოფა

ა) კომისიის წევრები

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, კომისია შედგება სამი წევრისაგან, რომლებიც თანამდებობაზე დაინიშნენ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 7 აგვისტოს №960 განკარგულებით, მათგან თავმჯდომარეა ელიზბარ ერისთავი, წევრები დემურ ჩომახიძე და პაატა ცინცაძე. კომისიის წევრების მიერ 2000 წელს მომზადებულ იქნა და გამოცა ნაშრომი „ენერგეტიკის რეგულირების საფუძვლები“. ნაშრომი გამიზნულია დარგის ლიცენზიატებისა და ამ საკითხით დაინტერესებულ მკითხველისათვის.

ბ) კომისიის აპარატი

აპარატს ხელმძღვანელობს აღმასრულებელი დირექტორი ალექსანდრე ფირცხალაიშვილი.

2001 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომისიის აპარატი შედგება 61 მუშაკისაგან. კომისიის აპარატის შემადგენლობაშია შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

- ა. 5 დეპარტამენტი (იურიდიული, ეკონომიკური, ელექტრო და ბუნებრივი გაზის);
- ბ. 1 განყოფილება (საერთო);

გ. 2 სამსახური (საზოგადოებასთან ურთიერთობის, კომპიუტერული უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციულ-სამეურნეო);

დ. ბუღალტერია;

ე. მომსახურე პერსონალი.

აპარატი ძირითადად დაკომპლექტებულია ინჟინერ-ენერგეტიკოსებით, გაზის მეურნეობის სპეციალისტებით, ეკონომისტებით და იურისტებით. აპარატის 46 სპეციალისტისაგან ენერგეტიკოსი და გაზის მეურნეობის სპეციალისტია 16, ანუ სპეციალისტთა საერთო რაოდენობის 35.5%, ეკონომისტი – 10, ანუ საერთო რაოდენობის 21.5% და იურისტი – 6, ანუ 12.9%. გარდა ამისა, აპარატში არიან სხვადასხვა საინჟინრო სპეციალობის, კომპიუტერული ტექნიკისა და მასმედიასთან ურთიერთობის 14 მუშაკი.

აპარატის მუშაკების მიღება წარმოებს საკონტრაქტო სისტემით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კომისიას ჰყავს 14 ადგილობრივი კონსულტანტი, მათ შორის 8 ენერგეტიკოსი და გაზის მეურნეობის სპეციალისტი, 4 ეკონომისტი, 1 იურისტი და 1 კომპიუტერული ტექნიკის სპეციალისტი.

აპარატის მუშაკები

№	დეპარტამენტი	ხელმძღვანელის სახელი, გვარი
1	აღმასრულებელი დირექტორი	ალექსანდრე ფირცხალაიშვილი
2.	<p>iuridiuli departamenti - 6 საშტატო ერთ.</p> <p>დეპარტამენტის დირექტორი</p> <p>მთავარი სპეციალისტი – 2 საშტატო ერთ.</p> <p>წამყვანი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთ.</p> <p>სპეციალისტი - 2 საშტატო ერთ</p>	თამაზ ინაშვილი
3.	<p>eleqtrodepartamenti - 7.5 საშტატო ერთ.</p> <p>დეპარტამენტის დირექტორი</p> <p>მთავარი სპეციალისტი - 5 საშტატო ერთ.</p> <p>წამყვანი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთ.</p> <p>კონსულტანტი – 0.5 საშტატო ერთ.</p>	რომან უშვერიძე

4.	<p>ekonomikuri departamenti - 11 სამტატო ერთ.</p> <p>დეპარტამენტის დირექტორი</p> <p>მთავარი სპეციალისტი –2 სამტატო ერთ.</p> <p>მთავარი ექსპერტი - 2 სამტატო ერთ.</p> <p>წამყვანი სპეციალისტი - 3 სამტატო ერთ.</p> <p>სპეციალისტი –1 სამტატო ერთ.</p> <p>საქმისმწარმოებელი -1 სამტატო ერთ.</p> <p>სტაჟიორი - 1 სამტატო ერთ.</p>	ნუგზარ ჩოხელი
5.	<p>bunbrivi gazis departamenti 6 სამტატო ერთ.</p> <p>დეპარტამენტის დირექტორი</p> <p>მთავარი სპეციალისტი –0.5 სამტატო ერთ.</p> <p>მთავარი ექსპერტი –1 სამტატო ერთ.</p> <p>წამყვანი სპეციალისტი –2 სამტატო ერთ.</p> <p>რეფერენტი - 1 სამტატო ერთ.</p> <p>კონსულტანტი – 0.5 სამტატო ერთ.</p>	დმიტრი ნამგალაძე
6.	<p>saerTo ganyofileba - 5 სამტატო ერთ.</p> <p>განყოფილების უფროსი</p> <p>საქმისმწარმოებელი – 2 სამტატო ერთ.</p> <p>რეფერენტი –1 სამტატო ერთ.</p> <p>კურიერი - 1 სამტატო ერთ.</p>	მზია სუქნიძე
7.	<p>buRalteria - 2 სამტატო ერთ.</p>	
8.	<p>sazogadoebasTan urT. samsaxuri - 2 სამტატო ერთ.</p>	
9.	<p>kompiuteruli uzrunvelyofis samsaxuri - 2 სამტატო ერთ.</p>	
10.	<p>administraciul-sameurneo samsaxuri - 6 სამტატო ერთ.</p>	

1.2 მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა

ა. ოფისი და მისი აღჭურვილობა

სემეკ-ი 1999 წლის ივნისიდან განთავსებულია ყაზბეგის გამზირზე №45-ში (მე-5 სართული); ფართობი შეადგენს 1332 კვ.მ-ს. ოფისი კეთილმოწყობილია. 2000 წელს ოფისისათვის შეძენილ იქნა 43000 ლარის აღჭურვილობა.

ბ. კომპიუტერული და კავშირგაბმულობის ტექნიკა

მსოფლიო ბანკისა და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დონორული დახმარების სახით, სემეკ-ში საანგარიშო წელს შემოვიდა 87000 ლარის ღირებულების კომპიუტერული და კავშირგაბმულობის ტექნიკა.

გ. სატრანსპორტო საშუალებები

საანგარიშო წელს სემეკ-ს სატრანსპორტო საშუალებები არ შეუძენია. ირიცხება 5 ავტომანქანა, მათ შორის 4 „ვოლგა“, და ერთი „ნივა“.

1.3 ფინანსური უზრუნველყოფა და კონტროლი

ა. რეგულირების საფასური

ლიცენზიებისაგან 2000 წელს შემოსულია რეგულირების საფასური 814269 ლარის ოდენობით.

ბ. ტექნიკური დახმარება

საანგარიშო წელს ტექნიკური დახმარების სახით მიღებულია:

1. კომპიუტერული და კავშირგაბმულობის ტექნიკა 87000 ლარის ღირებულებით.

გ. სხვა შემოსავლები

უცხოეთში მივლინების დასაფინანსებლად მსოფლიო ბანკიდან და აშშ-ს განვითარების სააგენტოდან გადმოირიცხა 50904 ლარი.

დ. სემეკის საქმიანობის შემოწმება

საქართველოს კონტროლის პალატის 2000 წლის 21 თებერვლის №72, 20 მარტის №130 და 26 აპრილის №177 ბრძანებათა საფუძველზე სარევიზიო დეპარტამენტმა ჩაატარა 1997 წლის 1 ოქტომბრიდან 2000 წლის 1 იანვრამდე საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კომპლექსური შემოწმება დამტკიცებული გეგმის მიხედვით.

შემოწმება დაიწყო 2000 წლის 21 თებერვალს და გაგრძელდა 5 მაისამდე. შემოწმდა 14 საკითხი, რომელიც მთლიანად მოიცავდა კომისიის საქმიანობას. შემოწმებას ესწრებოდნენ კომისიის წევრები, დეპარტამენტების ხელმძღვანელები, აღმასრულებელი დირექტორი და სხვა პასუხისმგებელი პირები. კონტროლის პალატის ჯგუფმა შემოწმების შედეგებზე შეადგინა სათანადო დასკვნა, სადაც შევიდა სხვადასხვა ხასიათის შენიშვნები და წინადადებები, გამიზნული შემდგომი კომისიის

შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებისათვის არსებითი დარღვევები და ნაკლოვანებები არ გამოვლენილა.

2. საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა

2.1 ცვლილებების პროექტი საკანონმდებლო აქტებში

საანგარიშო წელს სემეკ-ის მონაწილეობით მომზადებულ იქნა კანონპროექტი „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია შესაბამისი ცვლილებების შეტანა საქართველოს შემდეგ კანონებში:

1. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“;
2. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“;
3. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“;
4. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსი;
5. „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“;
6. „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“;
7. „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“.

აღნიშნული კანონპროექტი დადგენილი წესით წარდგენილ იქნა საქართველოს პარლამენტში და 2001 წლის აპრილში დაგეგმილია მისი განხილვა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

2.2 ნორმატიული დოკუმენტები

2000 წლის განმავლობაში კომისიის მიერ მიღებულ იქნა 10 დადგენილება, რომელთა შემუშავებაში, იუსტიციის სამინისტროს მიერ მათ რეგისტრაციასა და გამოქვეყნებაში სემეკ-ის იურიდიული დეპარტამენტი აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

იურიდიული დეპარტამენტი მუშაობდა და მონაწილეობას იღებდა ასევე სემეკ-ის მიერ კონკრეტულ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების შემუშავებასა და მათ სამართლებრივ ექსპერტიზაში. საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა 89 გადაწყვეტილება.

2.3 სადაო საკითხების გადაწყვეტა

საანგარიშო წელს განხორციელდა სემეკ-ის კანონიერი ინტერესების დაცვა სასამართლოში. კერძოდ, შპს „ალიონი-პლიუსის“ მიერ გასაჩივრებულ იქნა სემეკ-ის 2000 წლის 28 ივნისის №43 გადაწყვეტილება „სემეკ-ის 1999 წლის 27 სექტემბრის №56 გადაწყვეტილების სს „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა“ და სს „ჭიათურმანგანუმის“ ელექტროენერგიით მომარაგების შესახებ“ გაუქმების თაობაზე“. თბილისის საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა სემეკ-ის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება.

სასარჩელო წარმოების საქმეები სემეკ-ის წინააღმდეგ აღძრულ იქნა აგრეთვე სს „საქტრანსგაზმრეწვის“ მიერ. პირველით იგი მოითხოვდა, რომ დაეკალდებულენათ

სემეკი, რათა მას გაეცა სს „საქტრანსგაზმრეწვზე“ ლიცენზია, ხოლო მეორეთი მოითხოვდა სემეკ-ის იმ გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, რომლითაც სემეკ-მა ტრანსპორტირების ლიცენზია გასცა შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“. მართალია, აღნიშნული საქმეები ჯერ კიდევ წარმოებაშია, მაგრამ ამ მიმართულებით 2000 წელს სემეკ-ში გარკვეული სამუშაოები შესრულდა.

როგორც ცნობილია, ლიცენზიატებს შორის წარმოქმნილი დავების განხილვა კომისიის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. ამ კუთხით შესწავლილ იქნა ცალკეული სადავო საკითხები და კომისიას წარედგინა სათანადო დასკვნები. მათ შორის აღსანიშნავია მაგ., რკინიგზის დეპარტამენტსა და სს „ელექტროგადაცემას“ შორის არსებული დავა.

3. საანგარიშო პერიოდში და რგის რეგული რების სფეროში გაწეული საქმიანობა

3.1 ელექტროენერგეტიკული სექტორი

ა. ელექტროენერგეტიკის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება

2001 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოში მოქმედი ელექტროსადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე შეადგენს 4 447,1 მვტ-ს, აქედან ჰიდროელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე 2 729,1 მვტ-ს, ანუ 61,4%-ს, თბოსადგურების 1718 მვტ-ს ანუ 38,6%-ს, საერთო დადგმული სიმძლავრიდან (იხ. დანართი 6).

2000 წელს საქართველოში გამოშვებულ ექნა 7446,5 მლნ. კვტსთ ელექტროენერგია, რაც 672,2 მლნ. კვტსთ-ით ანუ 8,3%-ით ნაკლებია 1999 წელს გამოშვებულ ელექტროენერგიაზე და შეადგინა ქვეყანაში მოხმარებული ელექტროენერგიის (7847,5 მლნ. კვტსთ) 94,9%. აქედან ჰიდროელექტროსადგურების გამოშვება შეადგენს 5 906,1 მლნ. კვტსთ-ს ანუ 79,3%-ს, ხოლო თბოსადგურების 1 540,4 მლნ. კვტსთ-ს, ანუ 20%-ს, დანარჩენი (401 მლნ. კვტსთ) დაიფარა მეზობელი ენერგოსისტემებიდან (იხ. დანართი 5).

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე პოლიტიკურმა და სოციალურმა ძვრებმა დამანგრეველი ძალით იმოქმედა საქართველოს ეკონომიკაზე და განსაკუთრებით ენერგეტიკაზე. დღეისათვის საქართველოში არ არსებობს საპროექტო პარამეტრებით მომუშავე არც ერთი ელექტროსადგური. ელექტროენერგიის დისტრიბუციის სექტორში წარმოქმნილმა პრობლემებმა საქართველოს ენერგოსისტემას შეუქმნა სერიოზული სიძნელეები დარგის ფუნქციონირების ფინანსურ უზრუნველყოფაში. ფინანსების ქრონიკული დეფიციტის პირობებში ფულადი სახსრების ძირითადი ნაწილი მიემართებოდა ელექტროენერგეტიკული კვანძების მხოლოდ მუშა მდგომარეობის შესანარჩუნებლად. ამის გამო ყურადღების გარეშე დარჩა კაშხალები, დერივაციული არხები და გვირაბები, ძალოვანი მექანიზმები და აპარატურა-მოწყობილობები. ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა ელექტროსაქსელო მეურნეობაში, სასისტემო ავტომატიკისა და სარელეო დაცვის, კავშირგაბმულობის საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის მხრივ. ელექტროსადგურებში და ქსელებში სარელეო დაცვების

არასელექტიური მუშაობის შედეგად გახშირდა ავარიული შემთხვევები. სინქარისა და ძაბვის რეგულატორებს დარღვეული აქვთ მახასიათებლები, მათი უმეტესობა გადაყვანილია ხელით მართვის რეჟიმზე. აქედან გამომდინარე, ხშირად ღრმავდება მარტივი ავარიები და არც თუ იშვიათად ხდება მათი გადაზრდა სასისტემო ავარიებში, რასაც საბოლოოდ ენერგოსისტემის სრულ ჩაქრობამდე მიყვევართ.

ქვეყანაში ენერგეტიკული კრიზისის გაღრმავებას, განსაკუთრებით ხელი შეუწყო ელექტროენერჯის არაეფექტიანად გამოყენებამ. დღეისათვის თბური ენერჯის მოთხოვნილება, ძალზე მცირე გამონაკლისის გარდა, იფარება ელექტროენერჯით. გათბობა, ცხელწყალმომარაგება, საკვების მომზადება და სხვა ძირითადად ელექტროენერჯით ხდება.

ქვეყნის ენერგეტიკულ სექტორში კვლავ გრძელდება და მიმდინარეობს სტრუქტურული რეფორმები. ჰდღეის მდგომარეობით, ყოფილი „საქმთავრენერგოს“ ბაზაზე წარმოიქმნა და ფუნქციონირებენ შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000“, სს „ელექტროგადაცემა“, შპს „საქენერგო-2000“, „საქრუსენერგო“ და საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქენერგოგენერაცია“ (იხ. დანართი).

საქართველოს ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების ანალიზი და უახლოესი მომავლის პროგნოზული შეფასებები აშკარად და ცალსახად ადასტურებენ დარგში საბაზრო პრინციპების განუხრელი განხორციელების აუცილებლობას. ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის ფუნქციონირების ერთწლიანი გამოცდილება საბაზრო პრინციპების აუცილებელი დაცვის კვალობაზე მძლავრი არგუმენტია. არსებული კანონმდებლობით ელექტროენერჯია უნდა მიეწოდოს მისი ღირებულების გადამხდელს და არ შეიძლება მიეწოდოს არგადამხდელს. ამ ერთი შეხედვით ელემენტარული მოთხოვნის განხორციელებისათვის მრავალ სხვა პირობასთან ერთად აუცილებელია ხელისუფლების ყველა რგოლის პოლიტიკური ნება და ყოველმხრივი მხარდაჭერა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანაში მიმდინარე ენერგეტიკული კრიზისი არა თუ დაიძლევა, არამედ გაღრმავდება კიდევ მთელი თავისი თანამდევი უარყოფითი შედეგებით.

ბ. ტარიფის დადგენა და რეგულირება

სემეკის მიერ 2000 წელს მომზადდა და 1 სექტემბრიდან ამოქმედდა ელექტროენერჯიაზე ახალი სატარიფო სისტემა.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის და მოქმედი სატარიფო მეთოდოლოგიის მოთხოვნების შესაბამისად, სემეკის მიერ მომზადებული ელექტროენერჯის საბითუმო და საცალო ტარიფები ეყრდნობა როგორც საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებულ ზოგად მეთოდოლოგიურ პრინციპებს, ასევე იმ თავისებურებებს, რომლებიც დამახასიათებელია ქვეყნის ენერგეტიკის განვითარების დღევანდელი ეტაპისთვის. უწინარეს ყოვლისა იგი დაკავშირებულია ქვეყანაში მძიმე სოციალური გარემოს ფონზე, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და საზღვარგარეთის ქვეყნების კომპანიებთან ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გაღრმავების და ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების აუცილებლობასთან. აქედან გამომდინარე, მართალია, უმეტეს

4. ელექტროენერჯის მოხმარება						
ელექტრულ ქსელში დანაკარგების გათვალისწინებით	9847.60	9271.96	8671.96	8571.969	9147.60	7971.696

ჩატარებული გაანგარიშებები გვიჩვენებს, რომ თბილსრესის ძველ ენერგობლოკებზე წარმოებული ელექტროენერჯის ტარიფი შეადგენს 6.4-7.20 თეთრს კვტსთ-ზე (დღგ-ს გარეშე) გამომუშავების მოცულობის შესაბამისად, ხოლო იმპორტირებული ელექტროენერჯის ფასი (რუსეთიდან) - 4.76 თეთრია კვტსთ-ზე. ცხადია, ორივე მათგანის გავლენა ტარიფის საბოლოო დონეზე იქნება მნიშვნელოვანი და მძიმე ტვირთად დააწვება მომხმარებელთა ისედაც დაბალ გადახდისუნარიანობას.

აქედან გამომდინარე, სემეკ-ის აზრით, თანამედროვე ეტაპზე აღნიშნული 6 ვარიანტიდან უფრო მისაღებია მე-6 ვარიანტი, სადაც მომხმარებლების, მათ შორის მოსახლეობის ელექტროენერჯით უზრუნველყოფა განხორციელებულ იქნება ძირითადად ადგილობრივი რესურსებით და გარდაბანის მე-9 და მე-10 ბლოკებზე წარმოებით. ამასთან საფასურის გადახდისუნარიანობის არსებობის შემთხვევაში ელექტროენერჯის საჭირო რესურსები შეიძლება შევსებულ იქნეს იმპორტული ელექტროენერჯით, ან/და თბილსრესის ძველ ენერგობლოკებზე ელექტროენერჯის გამომუშავებით. ექსპორტი ძირითადად განხორციელდება თურქეთში თბილსრესის მე-9 და მე-10 ენერგობლოკების ფინანსური უზრუნველყოფისა და ძველი ვალის დაფარვის მიზნით, რის საფუძველსაც იძლევა საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 16 დეკემბრის №826 ბრძანებულება.

მე-6 ვარიანტის მიხედვით ელექტროენერჯის ტარიფის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია:

1. ჰიდროელექტროსადგურების ტარიფი

- ა. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა და საქართველოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, დაიწყო მოქმედება ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტმა. ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის გასაყიდი ტარიფი გაიზარდა 85%-ით და შეადგინა 1.3 ცენტი/კვტსთ (დღგ-ს ჩათვლით). ასევე, გაანგარიშებულია ენგურის ჰიდროელექტროსადგურის გრძელვადიანი ტარიფი.
- ბ. ყველა დანარჩენ ჰიდროელექტროსადგურებზე ძირითადად შენარჩუნებულია სემეკ-ის 1999 წლის 31 მაისის №1 დადგენილებით დამტკიცებული ტარიფები.

2. თბილსრესის ელექტროსადგურების ტარიფი

- ა. თბილსრესის („ეი-ი-ეს გარდაბანი“) მე-9 და მე-10 ბლოკებიდან ელექტროენერჯის მარგი გაშვება საპროგნოზო პერიოდში შეადგენს 2030 მლნ. კვტსთ.-ს, ხოლო ტარიფი – 5.18 თ/კვტსთ. (დღგ-ის გარეშე); „ეი-ი-

ეს მტკვარი“ ვარაუდობს, რომ აქ ბუნებრივი გაზის ფასი საქართველო-რუსეთის საზღვარზე იქნება 40.5 ჟმჰ 1000 მ3 –ზე.

- ბ. თბილისრესის ძველი, არაეფექტიური ბლოკების (№№ 3,4,8) მუშაობა არ არის გათვალისწინებული, რამდენადაც აქ წარმოებული ელექტროენერჯის ტარიფი მაღალია. სამაგიეროდ სამომხმარებლო ტარიფში გათვალისწინებულია მათი მზადყოფნის საფასური 5 ლარი 1 კვტ გარანტირებულ დადგმულ სიმძლავრეზე თვეში; სულ 176.5 მგვტ.-ისთვის, რაც შეადგენს 9.7 მლნ. ლარს წელიწადში. ძველი ბლოკების ამოქმედება გათვალისწინებულია მძიმე დეფიციტური ავარიული სიტუაციის დროს. ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელია გენერაციის საშუალო შეწონილი ტარიფის გაზრდა.

3. ელექტროენერჯის იმპორტის ტარიფი

ელექტრობალანსში გათვალისწინებული არ არის ენერჯის მიღება მეზობელი ქვეყნებიდან. შიგა მოხმარებისათვის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში გათვალისწინებულია სისტემათაშორისო კავშირების (ელექტროგადამცემი ხაზების) მზადყოფნა და საჭიროების შემთხვევაში იმპორტის განხორციელება. ამ შემთხვევაშიც მოსალოდნელია ტარიფის გაზრდა ბაზრის საშუალო შეწონილი და იმპორტირებული ენერჯის ფასთა სხვაობით.

4. გადაცემის ტარიფი

- ა. საქრუსენერჯოს ტარიფი შეადგენს 0.23 თ/კვტსთ. (დღგ-ის გარეშე) (0.18 თ/კვტსთ. მომსახურებაზე და 0.05 თ/კვტსთ. დანაკარგებისათვის).
- ბ. ელექტროენერჯის ტარიფი 220-110-35 კვ. ქსელის მომსახურებისათვის უდრის 0.9 თეთრს/კვტსთ., ხოლო ამ ძაბვის პირდაპირი მომხმარებლებისათვის – 1.09 თ/კვტსთ., ელექტროგადამცემის ტარიფი 6-10 კვ ქსელის მომხმარებლებისათვის ტოლია 0.32 თეთრისა (ყველა დღგ-ის გარეშე). რაც შეეხება ელექტროგადამცემის ქსელში არსებული დანაკარგების ტარიფს, იგი ყველა ძაბვის მომხმარებლისათვის 0.28 თეთრია/კვტსთ.

5. დისპეტჩერიზაციის ტარიფი

- ა. ელექტროდისპეტჩერიზაციის მომსახურების ტარიფი უდრის 0.23 თეთრს/კვტსთ-ზე (დღგ-ის გარეშე);
- ბ. „პონტოელის“ მომსახურების ტარიფი შეადგენს 0.015 თ/კვტსთ.-ზე (დღგ-ის გარეშე).

6. განაწილების ტარიფი

- ა. სს „ეი-ი-ეს თელასი“-ს ტარიფი არსებული ხელშეკრულებისა და სემეკ-ში წარმოდგენილი განაცხადის მიხედვით გაიზარდა 0.7 თ/კვტსთ. და შეადგენს საშუალოდ 3.9 თეთრს დღგ-ის გათვალისწინებით;
- ბ. სხვა გამანაწილებელი ენერჯოკომპანიების ტარიფი გაანგარიშებაში წარმოდგენილია სამ ტერიტორიულ ჭრილში: აჭარის, დუშეთისა და დანარჩენი რეგიონების; მათი ტარიფი დღგ-ის ჩათვლით შესაბამისად შეადგენს 2.8, 2.7 და 2.55 თეთრს კვტსთ.-ზე. აღნიშნული სიდიდეები კი 0.215, 0.15 და 0.2 თეთრით მეტია ამჟამად მოქმედ

ტარიფებზე, რაც გამოწვეულა გამანაწილებელი კომპანიების ამ საფეხურზე აღრიცხვიანობის გაუმჯობესების აუცილებლობით და სტრატეგიული ინვესტიორის მოზიდვის მიზნით; ხოლო აჭარაში გაერთიანებული ენერჯოკომპანიის შექმნით და მისთვის მაღალი ძაბვის ქსელის გადაცემით.

7. საბითუმო ბაზრის პირდაპირი მომხმარებლების ტარიფი

საქართველოში წარმოებული ელექტროენერჯის საშუალო შეწონილი ტარიფისა და გადაცემა-დისპეტჩერიზაციის მომსახურების ტარიფების გათვლის შემდეგ გაანგარიშდა საბითუმო ბაზრის პირდაპირი მომხმარებლების ტარიფი, რომელმაც შეადგინა: 220-110-35 კვ ძაბვაზე 5.7 თეთრი/კვტსთ დღგ-ის ჩათვლით, ხოლო 6-10 კვ ძაბვაზე 6.1 თეთრი/კვტსთ დღგ-ის ჩათვლით.

შემოდგომა-ზამთრის პერიოდში დამატებით მოთხოვნილი ელექტროენერჯის მიწოდების საპროგნოზო ტარიფები შემუშავებულია მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტების წინაშე საქართველოს სახელმწიფოს მიერ არსებული ვალდებულებათა მიხედვით, რომლის შესაბამისად მომხმარებელს საშუალება უნდა ჰქონდეს აუცილებლობის შემთხვევაში მოითხოვოს და მიიღოს დამატებითი სიმძლავრე, ანუ ლაპარაკია მოქნილ სატარიფო სისტემაზე თანდათანობით გადასვლაზე, როგორც ეს მიღებულია განვითარებულ ქვეყნებში. საკითხის ამგვარი გადაწყვეტის საშუალებას იძლევა „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონი (43-ე მუხლის მე-3 პუნქტი) და ამ კანონის საფუძველზე შემუშავებული ტარიფების მეთოდოლოგია.

საქართველოს ელექტრიფიკაციის ინტეგრალური მაჩვენებლების დინამიკა 1990-2000 წლებში

წლები	წარმოება მოხმარება			
	მლნ კვტსთ.	მოსახლეობის 1 სულზე (კვტსთ.)	მლნ კვტსთ.	მოსახლეობის 1 სულზე (კვტსთ.)
1990	14246	2611.0	17451	3198.4
1995	7082	1307.0	7836	1446.8
1996	7233	1335.5	7319	1351.4
1997	7172	1322.4	7508	1384.3
1998	8088	1487.4	8778	1614.3
1999	8119	1491.2	8409	1544.4
2000 (პროგნოზი - D1 ვარიანტი)	8675	1701	8275	1622.5
2000 წ. %-დ 1995 წ-თან	122.5	130.1	105.6	112.1

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ელექტროენერჯის საბითუმო და საცალო ტარიფების მე-ნ ვარიანტში ასახული არ არის თბილსრესის არაეფექტური ბლოკების მიერ წარმოებული და მეზობელი ქვეყნებიდან იმპორტირებული ელექტროენერჯის ღირებულება. ამასთან ფიქსირებული ტარიფით მომხმარებელთა მიერ ელექტროენერჯის საფასურის სრული ანაზღაურების შემთხვევაში ამოქმედდება ე. წ. მოქნილი სამომხმარებლო ტარიფი. კერძოდ, იმ შემთხვევაში, როცა მომხმარებელთა განაცხადის საფუძველზე საჭირო იქნება დამატებითი ელექტროენერჯის წარმოება, თბილსრესის ძველ ენერგობლოკებზე ან/და მეზობელი სახელმწიფოებიდან ელექტროენერჯის მოწოდება (იმპორტი), ასეთი მომხმარებლებისათვის ტარიფი განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$T = T_0 + T_1,$$

სადაც T_0 არის არსებული მეთოდოლოგიით განსაზღვრული ტარიფი მე-ნ ვარიანტის შემთხვევაში, ხოლო T_1 არის დამატებით მოთხოვნილი ელექტროენერჯის ტარიფი, რომელიც განისაზღვრება იგივე მეთოდოლოგიით, როგორც T_0 ტარიფი და გათვალისწინებული იქნება ძველ ენერგობლოკებზე წარმოებული ან/და იმპორტირებული ელექტროენერჯის ეკონომიკური მაჩვენებლები.

კონკრეტულმა გაანგარიშებებმა გვიჩვენეს, რომ თუ $T_0 = 9.8$ თ/კვტსთ, ხოლო ელექტროენერჯის დამატებითი მოთხოვნა შეადგენს მთლიანი მოხმარების 27%-ს და ეს მოთხოვნილება კმაყოფილდება მხოლოდ იმპორტირებული ელექტროენერჯით, მაშინ სემეკ-ის მიერ შემუშავებული მოდელით სამომხმარებლო (მოქნილი) ტარიფი მიაღწევს 10.5 თ/კვტსთ, ანუ ნაზრდი შეადგენს 0.7 თეთრს (6.7%).

ზოგადად, ახალი ტარიფის განსაზღვრის ამოსავალი პრინციპია ელექტროენერჯის მომწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების სრული ღირებულება. გარდა ამისა, გათვალისწინებულია:

- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;
- დარგში ეკონომიკური რეფორმების განხორციელების საჭიროება;
- საქართველოს მთავრობის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულების შესრულების აუცილებლობა;
- ქვეყნის ფაქტიური და პროგნოზული ელექტრობალანსი;
- ელექტროსადგურების ტიპი, სიმძლავრე და გამოშვება;
- ელექტროენერჯეტიკულ საწარმოთა ძირითადი საწარმოო ფონდების ნარჩენი (რეალური) ღირებულება;
- ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო სისტემა და სხვა.

ექვსივე ვარიანტის გაანგარიშებებში ელექტროენერჯის ხარჯი საკუთარი საჭიროებისათვის თბოსადგურებში საშუალოდ შეადგენს 7.05%-ს, ჰესებში – 0.38%, დანაკარგები გადაცემის ქსელში ტოლია საშუალოდ 10.6%-ისა.

მოქმედ ნარჩენ საწარმოო ფონდებზე ამონაგების დონე 20%-ის, ხოლო ძირითადი ფონდების ამორტიზაციის მაჩვენებელი ძირითადად 7.5%-ის დონეზეა.

გაანგარიშების შედეგები გვიჩვენებს, რომ მოსახლეობისათვის საცალო ტარიფი შეადგენს თბილისში 9.8 თეთრს, ხოლო საქართველოს დანარჩენ რეგიონებში (გარდა აჭარისა) 8.4 თეთრს კვტსთ-ზე (დღგ-ს ჩათვლით). აჭარის ეს მაჩვენებელი

8.5 თეთრია. ამრიგად, 1 სექტემბრამდე მოქმედ ტარიფთან შედარებით ამ კატეგორიის მომხმარებლისათვის ელექტროენერჯის საფასური გაიზარდა - თბილისში და აჭარაში, შესაბამისად 0.8 და 0.2 თეთრით, ანუ 8.88%-ით და 2.4%-ით. საქართველოში ელექტროენერჯის ტარიფების მოწესრიგების ამ ეტაპზე ტარიფების მომატება ძირითადად გამოწვეულია „ეი-ი-ეს თელასისა“ და ენგურჰესის ტარიფების, აგრეთვე საერთო გამოუმუშავებაში თეს-ის წილის ზრდით.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ქვეყნის ენერგოსისტემაში თანდათან მკვიდრდება საბაზრო ეკონომიკის პრინციპი – ელექტროენერჯის მიმწოდებელთა ტარიფი განისაზღვრება გაწეული მომსახურების ღირებულებით, ხოლო ენერჯია შეუზღუდავად მიეწოდება მისი საფასურის გადამხდელ მომხმარებელს.

როგორც ცნობილია, „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს არაკონკურენტულ ბაზარს ტარიფების სისტემის მეშვეობით. ამავე კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ელექტროენერჯის საბითუმო ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება მხოლოდ ელექტრობაზარზე. კანონის აღნიშნული მუხლის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1999 წლის 19 აგვისტოს №187 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით ელექტრობაზარზე მონაწილე სუბიექტები მიწოდებული ელექტროენერჯისათვის, აგრეთვე გადაცემისა და დისპეტჩერიზაციისათვის ანგარიშსწორებისათვის ელექტრობაზარი საბანკო დაწესებულებაში ხსნის სპეციალურ ტრანსფერტულ ანგარიშს, რომელზეც ჩაირიცხება თანხები ელექტროენერჯის მყიდველების მიერ და ამ ანგარიშიდან თანხები გადაერიცხება ელექტროენერჯის გამყიდველებს და გაყიდვის ციკლის მონაწილეებს – გადაცემასა და დისპეტჩერიზაციას.

დადგენილების მიხედვით, თუ ელექტროენერჯის რომელიმე მყიდველი ჰიდროელექტროსადგურიდან გააფორმებს პირდაპირ ხელშეკრულებას (ასეთი ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების მონაწილე ჰესისათვის დადგენილი ტარიფით). სხვაობა ჰესის ტარიფსა და საშუალო შეწონილ ტარიფს შორის უნდა ჩაირიცხოს საბითუმო ბაზრის ტრანსფერტულ ანგარიშზე. აღნიშნულის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ არაკონკურენტული ბაზრის პირობებში დაბალანსებული იქნეს თბო და ჰიდროენერჯიების ჯამი.

უნდა აღინიშნოს, რომ სემეკის მიერ 2000 წელს საკონსულტაციო ფირმა “PA Consulting”-თან ერთად მიმდინარეობდა მუშაობა ელექტროენერჯეტიკული სექტორის ტარიფების გაანგარიშების ახალ მეთოდოლოგიაზე. აღნიშნული საშუალებას მისცემს სემეკ-ს ელექტროენერჯეტიკულ სექტორში შემოიღოს ორსაფეხურიანი და სეზონური ტარიფები.

გ. ლიცენზირება

2000 წელს სემეკ-ის მიერ ჩატარებული იქნა რიგი სამუშაოები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენდა ელექტროენერჯეტიკულ სექტორში შემავალი საწარმოების ლიცენზირების პროცესის დასრულება.

სემეკის მიერ სამხარეო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სახელზე გაგზავნილი იქნა შეტყობინებები მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე მოქმედ

ელექტროენერგეტიკულ სექტორში შემაჯავლი საწარმოების ულიცენზიო საქმიანობების შესახებ, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო. 2000 წელს ელექტროენერგეტიკულ სექტორში გაცემული იქნა წარმოების 31, განაწილების 23 და დისპეტჩერიზაციის 2 ლიცენზია. 2001 წლის 1 იანვრისათვის, ლიცენზირებულ საქმიანობას ეწევა წარმოების 46, განაწილების 82, გადაცემის 2 და დისპეტჩერიზაციის 2 სუბიექტი, რაც ელექტროენერგეტიკულ სექტორში შემაჯავლი საწარმოების 98%-ს შეადგენს. ულიცენზიო საქმიანობას ეწევიან ისეთი საწარმოები, როგორცაა, აბაშის, მარტვილის, მესტიის, ცაგერის, ახალქალაქის, ნინოწმინდას, წალკის გამანაწილებელი ენერგოკომპანიები.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორის სრული პრივატიზაციის მიმდინარეობაზე განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის გამანაწილებელი ქსელების დაქუცმაცებამ, რის გამოც ელექტროენერჯის განაწილების სექტორში ფუნქციონირებდა იმდენი ენერგოგამანაწილებელი კომპანია, რამდენი ადმინისტრაციული ქვედანაყოფიც არსებობს ქვეყანაში, ეს რიცხვი 70-ს შეადგენს.

აღნიშნული კომპანიები მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ფინანსური შესაძლებლობის უკმარისობის გამო მინიმალურად ვერ აკმაყოფილებენ ლიცენზიის პირობებისა და წესების მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნული გარემოებისა და იმის გამო, რომ ისინი მიმზიდველი გამხდარიყვნენ სტრატეგიული ინვესტორებისათვის საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულებებით (იხ. დანართი) განისაზღვრა მათი გაერთიანება სამხარეო პრინციპით, რაც დააჩქარებს პრივატიზაციის პროცესს. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2-ე მუხლის „გ“ პუნქტის გათვალისწინებით გამანაწილებელ ქსელს შეიძლება მიეკუთნოს მათ ტერიტორიაზე განთავსებული 35 და 110 კვ არასასისტემო ელექტროგადამცემი ხაზები და ქვესადგურები.

საანგარიშო 2000 წელს საქართველოს ენერგოსისტემას შეემატა სამი მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური:

1. გორის რაიონის ტერიტორიაზე აშენდა გ. თარაშვილის ინდივიდუალური საწარმო, რომლის წყალმომარაგება განხორციელებულია ამჟამად უკვე არაფუნქციონირებადი წყალმომარაგების სისტემიდან, მისი სიმძლავრეა 450 კვტ, მუშაობს მხოლოდ ერთი აგრეგატი, შემდეგი ტექნიკური მონაცემებით: ხარჯი 500ლ/წმ, დაწნევა 60მ. აკმაყოფილებს მხოლოდ ახლომდებარე მომხმარებლებს – მოსახლეობასა და საყოფაცხოვრებო ხასიათის მცირე საწარმოებს.
2. ყვარლის რაიონში აშენდა აქციონერთა კერძო კაპიტალის სახსრებით ქინძმარაულიჰესი 3x500 კვტ სიმძლავრის აგრეგატებით, სადგური დერივაციულია, საშუალო წლიური გამომუშავებით 6 მლნ კვტსთ ჰესის საბალანსო ღირებულებაა 1.911 მლნ ლარი.
3. რიკოთის უღელტეხილის გვირაბთან ახლოს, მდინარე რიკოთულაზე აშენდა დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგური „ბმგ“ ერთი აგრეგატით, რომლის სიმძლავრეა 100 კვტ. აღნიშნულ ელექტროსადგურს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მიმდინარე ეტაპზე საქართველოს ენერგეტიკის ღრმა დეფიციტის

პირობებში რიკოთის საავტომობილო გვირაბის კენტილაციის სისტემის ნორმალურ რეჟიმში მუშაობისათვის.

ზემოხსენებული სამივე ობიექტი ლიცენზირებულია.

მცირე ჰესების მშენებლობა მოითხოვს წახალისებას სახელმწიფოს მხრიდან.

დ. ლიცენზირების პირობებისა და წესების შესრულების მიმდინარეობა

სემეკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა ლიცენზიის პირობებისა და წესების შესრულების კონტროლი.

საქართველოში ელექტროენერჯის გადაცემის ფუნქციას, როგორც ცნობილია, ასრულებს ელექტროენერჯის გადაცემის სამი ლიცენზიატი:

- აქციების 50%-ის სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე ელექტროენერჯის გადაცემის საწარმო – სააქციო საზოგადოება „საქრუსენერჯო“, რომლის აქციების 50%-ის მფლობელია რუსთავის სააქციო საზოგადოება „როსია“. სს „საქრუსენერჯო“ მომსახურებას უწევს 500 კვ. ეგხ – 876 კმ; 330 კვ. ეგხ – 21 კმ; 220 კვ. ეგხ – 12 კმ.
- სააქციო საზოგადოება „ელექტროგადაცემა“, რომელიც მომსახურებას უწევს 35-110-220 კვ ეგხ – 5310 კმ; ძალოვან ტრანსფორმატორებს ჯამური სიმძლავრით – 12644 მვა;
- აქციების 75%-ის კერძო მფლობელი სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე ელექტროენერჯის გადამცემ-გამანაწილებელი ენერჯოკომპანია „ეი-ი-ეს ა:თელასი“, რომელიც მომსახურებას უწევს 35-110 კვ ეგხ – 415 კმ; 35-110 კვ ძალოვან ტრანსფორმატორებს ჯამური სიმძლავრით – 1572 მვა;

2000 წელს, მიუხედავად ელექტროენერჯის გადამცემი საწარმოების მიერ გადაცემის ლიცენზიის წესებითა და პირობებით გათვალისწინებული ღონისძიებების გარკვეული მოცულობებით შესრულებისა, საქართველოს ენერჯოსისტემაში მაინც ადგილი ჰქონდა 5 სასისტემო ავარიას. მათ შორის, ენერჯოსისტემის სრული ჩაქრობით მოხდა 2, ხოლო ნაწილობრივი ჩაქრობით - 3 ავარია. ამ მიზეზით მომხმარებლებზე გაუცემელი ელექტროენერჯის საერთო რაოდენობამ შეადგინა 10.601 მლნ. კვტსთ.

ენერჯოსისტემაში მომხდარი 5 სასისტემო ავარიის გარდა, ადგილი ჰქონდა ორ ხარისხის 1 დარღვევას და ორ ხარისხის 2 დარღვევას. მომხდარი 3 დარღვევის შედეგად საერთო გაუცემელმა ელექტროენერჯიამ შეადგინა 7.150 მლნ. კვტსთ.

2000 წელს საქართველოს ენერჯოსისტემაში მომხდარი სასისტემო ავარიებისა და ნორმალური რეჟიმებიდან გადახრების წარმოქმნის ძირითადი მიზეზებად კვლავ რჩება:

- ენერჯოსისტემის მუშაობა იძულებით ავარიულ რეჟიმში, დასაშვებზე გაცილებით დაბალ სიხშირეებზე და ძაბვებზე.
- სარეზერვო სიმძლავრეების მწვავე დეფიციტი.
- საქართველოს ენერჯოსისტემის მუშაობა მეზობელი ენერჯოსისტემებიდან იზოლირებულ რეჟიმში.

- გარდამავალი მ.შ. დროს განმეორებითი ავტომატური ჩართვის მოწყობილობების არასრულყოფილება.
- სასისტემო ავტომატიკისა და სინშირული განტვირთვის შეუსაბამობა სისტემის მუშაობის სხვადასხვა რეჟიმებთან.

საქართველოს ენერგოსისტემის ოპერატიულ-სადისპეტჩერო მომსახურებას ახორციელებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000“.

2000 წელს საქართველოს ენერგოსისტემის დისპეტჩერიზაცია ხორციელდებოდა წინასწარ დამუშავებული და დადგენილი წესით სათანადო ორგანიზაციებთან შეთანხმებული ენერგობალანსების მიხედვით. 2000 წლის შემოდგომა-ზამთრის მაქსიმუმისათვის დაგეგმილი მოსამზადებელი სამუშაოების არასრული მოცულობით ჩატარებამ (ენგურჰესის კაშხალზე არ აღდგენილა ჩამკეტი ფარი, დიდია გაჟონვა), ძლიერმა გვალვებმა ხელი შეუშალა მარეგულირებელი ჰესების წყალსაცავებში საჭირო რაოდენობის წყლის დაგროვებას. აღნიშნულს დაერთო ის, რომ დროულად და ხარისხიანად არ ჩატარდა „ეი-ი-ეს მტკვარის“ მე-9 და მე-10 ენერგობლოკების რემონტი; გაზის შესაძენად საჭირო სახსრების უქონლობისა და გაჭიანურებული რემონტის გამო, ვერ მოხერხდა „თბილსრესის“ ენერგობლოკების ამუშავება. ყოველივე აღნიშნულის გამო შემოდგომა-ზამთრის მაქსიმუმის დადგომამდე დაიხარჯა წყალსაცავებში დაგროვილი წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი, გარდა ამისა, ელექტროენერჯის საფასურის დაბალი ამოღების დონის გამო ვერ მოხერხდა მეზობელი ქვეყნების ენერგოსისტემებიდან საჭირო რაოდენობის ელექტროენერჯის იმპორტი. ყველაფერმა ერთად განაპირობა ელექტროენერჯის უმწვავესი დეფიციტი.

ენერგოსისტემის ობიექტების სასისტემო, ავარიის საწინააღმდეგო ავტომატიკის მოწყობილობებით აღჭურვის დონე მინიმალურადაც არ შეესაბამება „ელექტროსადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლოატაციის წესების“, მოქმედი სტანდარტებისა და ნორმების, აგრეთვე სხვა ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების მოთხოვნებს.

სწორედ, ენერგოსისტემაში არსებული, ზემოთ ნაჩვენები გარემოებების შედეგია ის, რომ სისტემაში მომხდარი ავარიებიდან 2 ავარია დამთავრდა ენერგოსისტემის სრული პარალიზებით.

ქვემოთ მოყვანილია საქართველოს ენერგოსისტემაში 2000 წლის განმავლობაში მომხდარი სასისტემო ავარიების მოკლე აღწერა, ავარიის დაწყების მიზეზი, განვითარება და საბოლოო შედეგი:

1. 04.02.2000 წლის 03 საათსა და 10 წუთზე გამყოფი ავტომატიკის მოქმედებით ქვ/ს „ცენტრალნაიაში“ გამოირთო 500 კვ ეგხ „კაკასიონი“, რის გამოც საქართველოს ენერგოსისტემა გადავიდა მუშაობის იზოლირებულ რეჟიმში, შედეგად წარმოიქმნა სიმძლავრის დეფიციტი 130 მვტ, რასაც მოყვა სინშირის დაცემა დაახლოებით 46.2 ჰერცამდე, რადგანაც მთელი რიგი გამნაწილებელი ენერგოკომპანიების ქვესადგურებში, განსაკუთრებით სს „ეი-ი-ეს თელასის“ ქვესადგურებში, საგ-ის მოწყობილობები თვითნებურად იყო გამოყვანილი მოქმედებიდან. სინშირის დაცემის გამო „თბილსრესში“ გამოირთო №10 ენერგობლოკი და კიდევ უფრო დამძიმდა მდგომარეობა და სისტემაში განვითარდა სინშირისა და ძაბვის შემცირების ზვავისებრი დაცემის პროცესი,

რამაც გამოიწვია ელექტროსადგურებში მომუშავე აგრეგატების გამორთვა და ენერგოსისტემის ჩაქრობა.

2. 19.06.2000 წლის 02 საათსა და 05 წუთზე დასავლეთ საქართველოში ძლიერი წვიმისა და ჭექა-ქუხილის გამო ეგზ „იმერეთის“ A-ფაზაზე ადგილიჭქონდა გარდამავალი მოკლედ შერთვას, რის გამოც აღნიშნული ხაზი ორივე მხრიდან გამოირთო მაღალი სიხშირის დიფერენციალური დაცვის მოქმედებით. რადგანაც „ენგურჰესში“ ეგზ „იმერეთის“ ძაბვის ტრანსფორმატორის დაზიანების გამო მოქმედებიდან გამოყვანილი იყო ერთფაზა ავტომატური განმეორებითი ჩართვის მოწყობილობა; ამავე დროს ქს „დიდ ზესტაფონში“ შეკეთებაში იყო ჩაყენებული 500 კვ ამომრთველი.

ყოველივე ამის შედეგად გადაიტვირთა 220 კვ გზ „ლიახვი“ და ქს „ქსანი“-500-ში გამყოფი ავტომატიკის მოქმედებით გამოირთო აღნიშნული ხაზი, რის შედეგადაც სისტემა გაიყო ორ ნაწილად. ენერგოსისტემის აღმოსავლეთ ნაწილში შეიქმნა აქტიური სიმძლავრის მკვეთრი დეფიციტი, განვითარდა ძაბვისა და სიხშირის ზვავისებური დაცემის პროცესი, იმოქმედა საგ-ის მოწყობილობებმა და გამოირთო მომხმარებლები. მიუხედავად აღნიშნულისა, ჰიდროელექტროსადგურებში: ჟინვალჰესი, ზაჰესი, ხრამჰესი—რ—რ გამოირთო მუშაობაში მყოფი აგრეგატები მაქსიმალური დენური დაცვის მოქმედებით და მოხდა ენერგოსისტემის აღმოსავლეთ ნაწილის ჩაქრობა.

3. 06.10.2000წ. 5 საათსა და 57 წუთზე სიხშირე შეადგენდა 48.82 ჰერცს, ენგურჰესში ჰიდროაგრეგატის მიმმართველ აპარატზე მექანიკური ზემოქმედებით მორიგე ოპერატიულმა პერსონალმა მოახდინა სიმძლავრის მომატება. შედეგად სიხშირემ სისტემაში მოაღწია 50.7 ჰერცამდე; აღნიშნულ მომენტში ხრამი—რ—ში სიხშირის აწვეისაგან დაცვის ავტომატიკის მოქმედებით $f=50.43$ ჰერცს მოხდა სადგურში ტვირთის სრული მოხსნა, რამაც გამოიწვია ენერგოსისტემაში სიხშირის შემცირება 48.4 ჰერცამდე და საგ-ის მოქმედებით მომხმარებლების გამორთვა. სიხშირემ აიწია 51.5 ჰერცამდე და სიხშირის აწვეისაგან დაცვის მოქმედებით ენგურჰესში გამოირთო №2 ჰიდროაგრეგატი, რითაც სისტემის გენერაცია შემცირდა 175 მვტ-ით და მოხდა სისტემაში სიხშირის მკვეთრი დაცემა. ამის გამო თბილსრესში სიხშირის დაწვეისაგან დაცვის მოქმედებით გამოირთო მუშაობაში მყოფი №10 ენერგობლოკი, რამაც კიდევ უფრო დააჩქარა სისტემაში სიხშირის დაცემის პროცესი და გადატვირთვისაგან დაცვის მოქმედებით ელექტროსადგურებში ხრამჰესი—რ, ვარდნილჰესი—რ, ჟინვალჰესი, ზაჰესი, ორთაჭალჰესი. გამოირთო მუშაობაში მყოფი აგრეგატები. მოხდა ენერგოსისტემის ჩაქრობა.

4. 17.11.2000წ. 18 საათსა და 31 წუთზე ქს „ქსანი“ 500 კვ-ის რეაქტორის სახაზო გამთიშველის „A“ ფაზაზე გამთიშველთან დამაგრების კვანძში ჩამომყვანის დაზიანებამ გამოიწვია ორფაზა („A“ და „B“) მოკლე შერთვა. ამავე დროს ქვესადგურში 500 კვ გზ „მუხრანის“ დისტანციური დაცვის კვების ბლოკზე გამოირთო ავტომატი, მოეხსნა ოპერატიული ძაბვა დისტანციურ დაცვას, რამაც გამოიწვია დაცვის უმოქმედობა, ამის გამო თბილსრესში გამოირთო გზ „ქართლი—რ“, ქს „დ. ზესტაფონში“, ეგზ „ქართლი—რ“,

ქვს „ქსანში“ №3 ავტოტრანსფორმატორი და მოხდა ენერგოსისტემის გაყოფა ორ ნაწილად. სისტემის აღმოსავლეთ ნაწილში სიმძლავრის დეფიციტის გამო სინშირე დაეცა 47 ჰერცს ქვემოთ და თბილსრესში სინშირის დაცემის გამო ავტომატიკის მოქმედებით ავარიულად გამოირთო №10 ენერგობლოკი, განვითარდა სინშირის და ძაბვის ზვავისებური დაცემის პროცესი და მიუხედავად საგ-ის მოქმედებისა ელსადგურებში „ჟინვალჰესი“, „ხრამჰესი-ბ-ბ“, „ზაჰესი“, „ორთაჭალჰესი“ გადატვირთვისაგან დაცვის მოქმედებით გამოირთო მუშაობაში მყოფი აგრეგატები. მოხდა სისტემის აღმოსავლეთი ნაწილის ჩაქრობა. სისტემის დასავლეთ ნაწილში შეიქმნა აქტიური სიმძლავრის სიჭარბე, აიწია სინშირემ 51.5 ჰერცის ზევით. ენგურჰესში სინშირის აწვეისაგან დაცვის მოქმედებით გამოირთო №4 და №5 ჰიდროაგრეგატები, რის შედეგად განვითარდა ძაბვის და სინშირის ზვავისებური დაცემის პროცესი მიუხედავად საგ-ის მოწყობილობების მოქმედებისა. გადატვირთვისაგან დაცვის მოქმედებით ელექტროსადგურებში: „ვარდნილჰესი-ბ“, „გუმბათჰესი“, „რიონჰესი“, „ვარციხეჰესები“ და „ლაჯანურჰესი“ გამოირთო მუშაობაში მყოფი აგრეგატები და მოხდა სისტემის დასავლეთი ნაწილის ჩაქრობა.

5. 16.12.2000წ. 13 საათსა და 19 წუთზე „ეი-ი-ეს მტკვარში“ №9 ენერგობლოკის მთავარი ორთქლის სარქველის შემჭიდროების დაზიანების გამო ავარიულად, ტექნოლოგიური დაცვის მოქმედებით გამოირთო აღნიშნული ენერგობლოკი, რის გამოც 500 კვ გზ „კავკასიონზე“ გაიზარდა გადმოდინება 270 მგტ-მდე და ქს „ცენტრალნაიაში“ აღნიშნული ხაზი გამოირთო განტვირთვის ავტომატიკით, შედეგად საქართველოს ენერგოსისტემა გადავიდა იზოლირებულად მუშაობის რეჟიმში. გაჩნდა აქტიური სიმძლავრის მკვეთრი დეფიციტი, განვითარდა სინშირის ზვავისებური დაცემის პროცესი. „ეი-ი-ეს მტკვარში“ სინშირული განტვირთვის ავტომატიკის მოქმედებით გამოირთო №10 ენერგობლოკი. სისტემაში კიდევ უფრო გაიზარდა აქტიური სიმძლავრის დეფიციტი. ენერგოსისტემის ობიექტებზე მიუხედავად საგ-ის მოწყობილობების მოქმედებისა და მომხმარებლების გამორთვისა ელექტროსადგურებში: „ვარდნილჰესი“, „ვარციხეჰესების კასკადი“, „ზაჰესი“, „ორთაჭალჰესი“, გამოირთო მუშაობაში მყოფი აგრეგატები გადატვირთვის გამო მაქსიმალური დენური დაცვის მოქმედებით, რასაც შედეგად მოჰყვა ენერგოსისტემის ჩაქრობა. გარდა ქ/ს დ.ნავთლულის კვანძზე მიერთებული მომხმარებლებისა, რომელიც იკვებებოდა ჩიხურად, სომხეთის ენერგოსისტემიდან.

სს „საქრუსენერგოს“ მიერ ჩატარდა მის ბალანსზე რიცხული მაღალი ძაბვის ეგზ-ების პროფილაქტიკური რემონტი და საჭირო გაბარიტების დაცვის უზრუნველყოფის სამუშაოები. შედეგად მკვეთრად შემცირდა მათი ავარიული გამორთვები, რაც ძირითადად გამოწვეულიყო გაბარიტების დარღვევით, ასე, რომ 1998 და 1999 წლებში სს „საქრუსენერგოს“ მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგად ასეთი დაზიანებები 2-3-მდე შემცირდა, მაშინ როცა წინა წლებში წელიწადში 10-ჯერ და მეტად ხდებოდა.

ასევე ითქმის 500 კვ ეგზ იმერეთზე, რომელიც მხოლოდ 1-ჯერ გამოირთო 2000 წელს, მაშინ როცა 1999 წელში ადგილი ჰქონდა 15 ავარიულ გამორთვებს.

ენერგოსისტემაში მომხდარი შვიდი მძიმე ავარიის გამომწვევი მიზეზების და ავარიების განვითარების შესწავლამ გვიჩვენა:

1. ხუთი სასისტემო და ორი მძიმე ავარიის შედეგად სისტემაში მიუწოდებელმა ელექტროენერგიამ შეადგინა 17.751 მლნ კვტსთ; მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტით გამოწვეული მატერიალური და მორალური ზარალი შეფასებული არ არის.
2. იმ ავარიების შემთხვევაში, როცა სისტემა დაკავშირებული იყო რუსეთის ენერგოსისტემასთან გზ „კავკასიონით“, ავარიის დაწყების და განვითარების გარკვეულ მომენტში ხდებოდა „კავკასიონის“ გამორთვა, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა გარდამავალ პროცესს გზ „კავკასიონზე“ შემზღუდავი (150 მვტ) ავტომატიკის არსებობა წარმოადგენს ავარიების განვითარების დამძიმების მიზეზს.
3. რიგ შემთხვევებში ავარიის წარმოქმნის ან განვითარების მიზეზია „ეი-ი-ეს თელასი“, „ეი-ი-ეს მტკვარი“ და „ეი-ი-ეს ხრამი“ კერძოდ: №9 და №10 ენერგობლოკების არასტაბილური მუშაობა (დროული და ხარისხიანი რემონტის ჩაუტარებლობის გამო), „ხრამქვის“ მორიგეს მიერ სისტემის დისპეტჩერის მოთხოვნის არშესრულება, თელასში საგ-ის მოწყობილობის მოქმედებიდან თვითნებური გამოყვანა და სხვა.
4. წერილობითი შეტყობინების მიუხედავად „ეი-ი-ეს მტკვარის“ წარმომადგენელი არ დაესწრო სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ავარიების გამომკვლევ კომისიების მუშაობას, რაც ლიცენზიის პირობების უხეში დარღვევაა.
5. ავარიების ყველა შემთხვევაში ავარიების ამცილებელი სალიკვიდაციო და სხვა მოწყობილობები მუშაობდა არაეფექტურად.

სს „პონტოელი“ ობიექტური მიზეზების გამო არასაკმარისად ასრულებდა მისთვის ლიცენზიით მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს, რის მაგალითად გამოდგება იმპორტის ლიცენზიების მათთან შეუთანხმებლად გაფორმება, მეზობელი სახელმწიფოების ენერგოსისტემებთან დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზების საშუალებით ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტის გრაფიკების შესრულებისა და უკუ გადადინების სუსტი კონტროლი.

სს „ეი-ი-ეს თელასის“ მიერ ლიცენზირებული საქმიანობის განხორციელებას ლიცენზიის პირობების შესრულების შემოწმების დროს სემეკი დამატებით ითვალისწინებდა, რომ „ეი-ი-ეს თელასს“ და საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს შორის თელასის აქციების 75%-ის ნასყიდობის შესახებ 1998 წლის 24 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულება შეიცავს ისეთ პუნქტებს, რომლებიც შესული არ არის ლიცენზიის პირობებში და მისი აღიარება სავალდებულო იყო.

საანგარიშო პერიოდში ლიცენზიატმა განახორციელა მნიშვნელოვანი სამუშაოები: შეიცვალა ამორტიზებული კაბელები, შეკეთდა გამანაწილებელი სატრანსფორმატორო ქვესადგურები, შეიცვალა მოძველებული დანადგარები; კონტროლირებად ადგილებში გამოტანილი იქნა საანგარიშო მრიცხველები, თუმცა 2000 წლის ბოლოსათვის მათი გამოტანის დასრულების ვალდებულება ვერ შეასრულა. რიგ შემთხვევებში მრიცხველების გამოტანასთან დაკავშირებული სამონტაჟო სამუშაოები, მიუხედავად სოლიდური ხარჯებისა, არ არის სათანადო დონეზე შესრულებული, მოწესრიგებული

არ არის სადარბაზოების და ეზოების განათება. პრაქტიკულად მოიშალა სარდაფების, ავტოსადგომების და სხვა სათავსოების არსებული ელექტრომომარაგება. რიგ შემთხვევებში დამახინჯებულია სადარბაზოების იერ-სახე, რაც მომხმარებლების უკმაყოფილებას იწვევს.

ლიცენზიის პირობებით ლიცენზიატს წელიწადში ორჯერ სემეკისათვის უნდა წარმოედგინა გაწეული მუშაობის ანგარიში, რაც, არაერთი წერილობითი შეხსენების მიუხედავად, არ შესრულდა. უფრო მეტიც, „AES-თელასი“ სისტემატურად არ აწვდიდა სემეკს მოთხოვნილ ინფორმაციას, ხოლო წლიური აუდიტორიული ფინანსური ანგარიში წარმოადგინა ერთ ფურცელზე გაუშიფრავად, რაც არ იძლევა წარმოადგენას ინვესტიციების მიზანშეწონილობასა და რეალობაზე.

საანგარიშო წლისათვის „ეი-ი-ეს თელასმა“ არ წარმოადგინა გამანაწილებელ ქსელში დანაკარგების შემცირების ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმა; დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს დროულად არ აწვდიდა საგ-ის მოქმედების შესახებ ინფორმაციას; უფრო მეტიც, დაფიქსირდა „ეი-ი-ეს თელასის“ ობიექტებზე განთავსებული მოწყობილობების მოქმედებიდან თვითნებურად გამოყვანის შემთხვევა, რასაც შედეგად მოყვა დაწყებული ავარიის სისტემურ ავარიაში გადაზრდა.

ლიცენზიის პირობებით „ეი-ი-ეს თელასი“ ვალდებულია კომისიას მოთხოვნისთანავე მიაწოდოს დამატებითი, აუცილებელი ინფორმაცია კომისიის ფუნქციების განხორციელებისათვის. იგი ამ პირობასაც არ ასრულებდა.

ლიცენზიის პირობების დაუცველობის ყველა შემთხვევაში კომისია წერილობით გაფრთხილებებს უგზავნიდა ლიცენზიატს. უფრო რადიკალური სანქციები სემეკისაგან შეგნებულად არ განხორციელებულა არსებული მწვავე ენერგეტიკული ვითარების გათვალისწინების გამო.

ლიცენზიის პირობებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს არღვევდა „ეი-ი-ეს მტკვარიც“: მან დროულად არ შეაკეთა მისი კუთვნილი მე-9 და მე-10 ენერგობლოკები, ვერ უზრუნველყო მათი სტაბილური მუშაობა. აღნიშნული ბლოკების დაგვიანებით ამუშავებამ და გაუთავებელმა ავარიულმა გამორთვებმა კიდევ უფრო გააღრმავა შემოდგომა-ზამთრის სეზონში მოსალოდნელი ენერგოკრიზისი. დროულად არ მოაწესრიგა ელექტროენერჯის აღრიცხვა საბალანსო გამიჯვნის საზღვარზე. მე-9 და მე-10 ენერგობლოკების ავარიულმა გამორთვებმა რამდენიმეჯერ განაპირობა სისტემური ავარია. მიუხედავად წერილობითი შეტყობინებისა, კომპანიამ არცერთხელ არ მიავლინა წარმოდგენილი მიზეზების დამდგენ კომისიაში. ლიცენზიის პირობების დარღვევის გამო „ეი-ი-ეს მტკვარი“ გაფრთხილებულია. დაიწყო პროცედურების შემუშავება ლიცენზიატების მიერ ლიცენზიის პირობების დარღვევის შემთხვევაში უფრო მკაცრი სანქციების გატარების მიზნით. ინფორმაციის მიწოდებას თავს არიდებს „ეი-ი-ეს ხრამიც“.

„ეი-ი-ეს თელასსა“ და ელექტროენერჯის მომხმარებლებს შორის ურთიერთობების ცივილური ფორმით განხორციელებისათვის სემეკის მიერ „ეი-ი-ეს თელასის“, საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურის, ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საკითხების მარეგულირებელი საქალაქო სამსახურის; საქსტანდარტის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციის თბილისის ორგანიზაციისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სხვა კანონებისა და კანონმდებარე აქტების

გათვალისწინებით 2000 წლის ბოლოს შემუშავებული იქნა „ელექტროენერჯის მიწოდებისა (მომსახურების) და მოხმარების დროებითი პირობების პროექტი. აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცების შემდეგ სავალდებულო გახდება „ეი-ი-ეს თელასისა“ და მისი ყველა კატეგორიის მოხმარებლებისათვის.

ელექტროენერჯის მოხმარების დროებითი წესები შეიცავს მიმწოდებლისა (მომსახურების გამწვევის) და მომხმარებლების ურთიერთობებთან დაკავშირებულ 27 პუნქტს, რომლებიც მიმწოდებლისა და მომხმარებლებს შორის წამოჭრილ ყველა საკითხს მოიცავს; მასში მოცემულია ორივე მხარის უფლებები და ვალდებულებები. ელექტროენერჯის აღრიცხვის ხელსაწყოების განლაგება, გადახდის პროცედურა, სანქციები გადაუხდელობის შემთხვევაში, გადაუხდელობის გამო ელექტროენერჯით მომარაგების შეჩერებული მიწოდების აღდგენა.

ხელშეკრულება ითვალისწინებს გადასახადის დაგვიანებისათვის საურავის გადახდის წესსა და პროცედურას. დავალიანების რესტრუქტურისა და ღონისძიებებს ელექტროენერჯის დატაცებისას, მომხმარებელთა უფლებებს აღრიცხვის ხელსაწყოების მუშაობის სიზუსტეში ეჭვის შეტანის შემთხვევაში ელექტროენერჯის მიმწოდებლის ვალდებულებებს და შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე პროცედურებს.

მიმდინარეობს გამანაწილებელი ენერგოკომპანიების გამსხვილება, რომლის დამთავრების შემდეგ საქართველოში ელექტროენერჯის განაწილებას განახორციელებს „ეი-ი-ეს თელასი“, აჭარის, სამეგრელო-ზემოსვანეთის, გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემოქართლისა და კახეთის („სინათლე“) გაერთიანებული ენერგოკომპანიები.

სემეკმა გარკვეული სამუშაოები ჩაატარა ელექტროენერჯის საანგარიშსწორებო და ტექნიკური აღრიცხვის მოწესრიგების მიზნით. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო წელს სემეკ-ში შემოსული წერილების ძირითადი ნაწილი ეხებოდა ელექტროენერჯის აღრიცხვის სისტემების „ელექტროდანადგარების მოწყობის წესების“ და „ელექტროსადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლოატაციის წესების“ მოთხოვნების დარღვევით მოწყობისა და ექსპლოატაციით წარმოშობილ სადავო საკითხებს. დიდი იყო წერილების რაოდენობა ელექტროენერჯის დანაკარგებთან დაკავშირებით. ელექტროენერჯეტიკის დეპარტამენტმა ჩაატარა მნიშვნელოვანი სამუშაოები აღნიშნული საკითხების რეგულირებასთან დაკავშირებით. შესწავლილი იქნა წარმოების, გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატებთან, აგრეთვე პირდაპირ მომხმარებლებთან ელექტროენერჯის აღრიცხვის სისტემების არაადაქმყოფილებელი ფუნქციონირების მიზეზები. საჩივრების საფუძველზე მიღებული იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარს გადაეცა ენერგოსისტემაში (წარმოების, გადაცემის და განაწილების ლიცენზიატების) ბალანსზე რიცხულ ობიექტებზე ელექტროენერჯის აღრიცხვის ექსკლუზიური უფლება, ჯერჯერობით შედეგი უმნიშვნელოა.

საანგარიშო პერიოდში საბითუმო ბაზარში სემეკის ელექტროენერჯეტიკის დეპარტამენტის სპეციალისტების დახმარებით მომზადდა „ელექტროენერჯის აღრიცხვის წესები“ და დამთავრების ფაზაშია ინსტრუქცია „ელექტროენერჯის აღრიცხვა მისი წარმოების, გადაცემის და განაწილებისას“.

ე. პრივატიზაცია

როგორც ცნობილია, 1999-2000 წელს კომპანია „AES Silk Road Holdings“-თან მიმდინარეობდა მოლაპარაკება გარდაბნის თბოელექტროსადგურის მე-9 და მე-10 ენერგობლოკების პრივატიზაციასთან დაკავშირებით. თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოლაპარაკებებში მონაწილეობას იღებდა სემეკი, კერძოდ ეს შეეხებოდა სატარიფო პოლიტიკისა და ზოგიერთ ტექნიკური ფაქტორების განსასაზღვრავს. 2000 წლის აპრილში ხელი მოეწერა აღნიშნული ენერგობლოკების ნასყიდობის ხელშეკრულებას.

ელექტროენერგეტიკაში პრივატიზების მეორე ლოტი მოიცავდა საქართველოს დასავლეთ რეგიონებში არსებულ 5 ჰიდროელექტროსადგურს (ჯამური სიმძლავრე 346 მგვტ) და ამ რეგიონში არსებულ ქუთაისის გამანაწილებელ კომპანიას, რომელიც თბილისის შემდეგ ყველაზე მსხვილი ენერგოკომპანიაა საქართველოში. იგი ემსახურება დაახლოებით 70000 მომხმარებელს. თავდაპირველად აღნიშნულ ლოტთან დაკავშირებით მოლაპარაკება წარმართა ჩინურ კომპანია „ჰაინან ენთერპრაიზ“-თან. ჩინური კომპანია დაინტერესებული იყო ლოტში შემაჯავალი ჰიდროელექტროსადგურებით, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მოლაპარაკებების დროს ვერ მოხერხდა ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამოთქმავებული ელექტროენერჯის სარეალიზაციო ტარიფებზე შეთანხმება; ამის მთავარი მიზეზი იყო ჩინური კომპანიის მიერ მოთხოვნილი ტარიფების მეტად მაღალი დონე. ამიტომ სახელმწიფო სატენდერო კომისიამ სხვა უარყოფით ფაქტორებთან ერთად არ მიიღო კომპანიის მიერ შემოთავაზებული წინადადება და პრივატიზაცია არ განხორციელდა.

2000 წლის ი ნახევარში იგივე ლოტით დაინტერესდა ფრანგული კონსორციუმი („SIIF Energies SA“ , „MECAMEDI“ , „GMT Group“ და „EDF Elestricite de France“). კონსორციუმის მიერ 2000 წლის თებერვალში სემეკმა განიხილა წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტი, რომლის მიხედვითაც იგი შეისყიდოდა მეორე ლოტში შემაჯავალ 5 ჰიდროელექტროსადგურს და დამატებით საქართველოს დასავლეთ რეგიონებში არსებულ 23 გამანაწილებელ კომპანიას ქუთაისის ენერგოკომპანიის ჩათვლით. მათ მიერ შემოთავაზებული წინადადება ითვალისწინებდა საპრივატიზაციო ობიექტებში 19 მლნ აშშ. დოლარის გადახდას, მათ შორის გარიგების დასრულებისას 4 მლნ აშშ. დოლარის ოდენობით, ხოლო დარჩენილ 15 მლნ. აშშ. დოლარს – 4 წლის განმავლობაში განვადებით. ამასთან აღნიშნული თანხა სუბორდინირებული იყო საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის მიერ გენერაციის ობიექტებიდან შესყიდული ელექტროენერჯის საფასურის სრულ დაფარვაზე.

საერთოდ, საინვესტიციო ვალდებულება შეადგენდა 25 მლნ. აშშ დოლარს და იგი გაიზრდებოდა 14 მლნ. აშშ დოლარით, თუ გარიგების დასასრულისათვის ლოტში შემაჯავალი ჰიდროელექტროსადგური ლაჯანურჰესი მიიღებდა 14 მლნ. დოლარის გრანტს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც შესასყიდი თანხა, ასევე ინვესტიციების ოდენობა უნდა შესწორებულიყო კონსორციუმის მიერ შემოთავაზებული ე.წ. კუმულატიური ფორმულის მიხედვით, რაც ვალდებულებებით განსაზღვრულ თანხებს შეამცირებდა ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის მიერ გენერაციის ობიექტებიდან შესყიდული ელექტროენერჯის საფასურის არასრულად ანაზღაურების

შემთხვევაში. სემეკ-მა მოითხოვა შესასყიდი თანხისა და ვალდებულებებით განსაზღვრული ინვესტიციების სრული დაფარვა, მაგრამ მოთხოვნაზე დადებითი პასუხი არ იყო მიღებული. ასევე სემეკ-მა კონსორციუმის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით გაიანგარიშა გენერაციის ობიექტების მიერ გამოძუშავებული ელექტროენერგიის გასაყიდი ტარიფები, რაც საგრძნობლად დაბალი აღმოჩნდა კონსორციუმის მიერ მოთხოვნილ ტარიფებზე. აქედან ნათელი გახდა, რომ კონსორციუმის მიერ მოთხოვნილი ტარიფები ეკონომიკურად დაუსაბუთებელი იყო. შემდგომი მოლაპარაკებისას კონსორციუმმა კიდევ წამოაყენა რამოდენიმე დამატებითი მოთხოვნა; მათ შორის აღსანიშნია:

1. დღე გადაიხდებოდა ელექტროენერგიის საფასურის მხოლოდ გადახდილ ინვოისებზე, რაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოში მოქმედ საგადასახადო კოდექსს;
2. მომხმარებლებზე მიწოდებული ელექტროენერგიის ტარიფი იგივე იქნებოდა, რაც თბილისის მომხმარებლისათვის, სულ ცოტა 4,5 ცენტი კვტსთ-ზე პირველი წლისათვის. შემდგომ წლებში კი, ტარიფი მოიმატებდა 0.25 ცენტით კვტსთ-ზე ყოველ წელს, მაგრამ გაურკვეველი იყო ტარიფის მატების პერიოდი (წლების რაოდენობა);
3. გენერაციის ობიექტებთან პირდაპირი ხელშეკრულებების შესაძლებლობა; კონსორციუმი მოითხოვდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ელექტროენერგიის შესასყიდ ტარიფსა და ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის საშუალო შეწონილ ტარიფს შორის არსებული განსხვავებით დაგროვებული თანხის ხუთი წლის შემდგომ გადახდას. ეს კი საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და საბაზრო წესებს ეწინააღმდეგებოდა;
4. განაწილების კომპანიების ტარიფში ამოღების დონის (კოეფიციენტის) გათვალისწინება, რაც ეწინააღმდეგებოდა არსებულ კანონმდებლობას;
5. ორ ლოტის გენერაციის ობიექტებთან პირდაპირი ხელშეკრულებების შემთხვევაში, განაწილების კომპანიის მიერ შესყიდული ელექტროენერგიის საფასურის პრიორიტეტული დაფარვა;
6. პირდაპირი ხელშეკრულებებით ელექტროენერგიის შესყიდვის შემთხვევაში დისპეტჩერიზაციის მიერ ელექტროენერგიის პრიორიტეტულად ორ ლოტის გამანაწილებელ კომპანიებზე მიწოდება.

კონსორციუმი სემეკ-ის მიერ შეთავაზებულ გენერაციის ობიექტების მიერ გამოძუშავებული ელექტროენერგიის გასაყიდ ტარიფებს დაეთანხმებოდა იმ შემთხვევაში, თუ შეამცირებდა გადასახდელ თანხას 9 მლნ. აშშ დოლარამდე და საინვესტიციო ვალდებულებებს 15 მლნ. აშშ დოლარამდე; მაგრამ ტარიფი პირდაპირ დამოკიდებულია აღნიშნული მონაცემების სიდიდეზე და იმ შემთხვევაში თუ ეს თანხები შემცირდებოდა შესაბამისად უნდა შემცირებულიყო ტარიფიც.

ასევე, შეთანხმება არ იქნა მიღწეული გენერაციის ობიექტების მიერ გამოძუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობაზე. სემეკ-ის მოთხოვნა იყო რომ რეაბილიტაციის ჩატარების შემდეგ ჰიროელექტროსადგურების გამოძუშავება საპროექტო გამოძუშავების 85-90% მაინც ყოფილიყო, რადგან ელექტროენერგეტიკული სექტორის ობიექტების განსახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია მათი რეაბილიტაცია და ტექნიკურად გამართული მუშაობა.

კონსორციუმის შეთავაზებით კი გამოძევა არ აღემატებოდა 50-60% საპროექტოდან. ზემოაღნიშნულისა და სხვა გარემოებების გამო სახელმწიფო სატენდერო კომისიამ არ მიიღო კონსორციუმის წინადადებები და პრივატიზაცია არ შედგა.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა ელექტროენერჯის საფასურის გადაუხდელობასთან დაკავშირებით, არა მიმზიდველს ხდის სტრატეგიული ინვესტიციებისათვის ელექტროენერჯეტიკული ობიექტების პრივატიზებას.

ვ. ელექტრობაზრის საქმიანობის ზედამხედველობა

2000 წელს სემეკის მიერ ჩატარებული იქნა რიგი სამუშაოები საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის ნორმალური ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით. სემეკმა მოახდინა 1999 წლის 31 მაისის №2 დადგენილებით დამტკიცებული „საბაზრო წესების“ გადახედვა და სემეკის 14.02.00წ. №1 დადგენილებით მასში სათანადო ცვლილებების და დამატებების შეტანა.

განხილული იქნა საბითუმო ბაზრის პროექტი „ელექტრობაზრის მყიდველებისათვის ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტის (შეზღუდვის) დროებითი პირობები, წესები და პროცედურების შესახებ“, რომელიც დამტკიცებული იქნა სემეკის 2000 წლის 21 თებერვლის №2 დადგენილებით.

ელექტრობაზრის წევრთა კანონიერი ინტერესების დაცვის, ელექტრობაზარზე ვაჭრობაში სამართლიანი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრებისადმი ხელისშეწყობის მიზნით, აგრეთვე, ელექტრობაზარზე ვაჭრობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად დამუშავებული იქნა და სემეკის 2000 წლის 15 მაისის №5 დადგენილებით დამტკიცდა დებულება ელექტრობაზარზე სადავო საკითხების პროცედურული წესების შესახებ.

სემეკის მხრიდან დიდი ყურადღება დაეთმო საქართველოს ელექტროენერჯეტიკული სისტემაში აღრიცხვიანობის მოწესრიგების საკითხს. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ელექტროენერჯის მწარმოებელი, გადამცემი, დისპეტჩერიზაციისა და გამანაწილებელი მეურნე სუბიექტების მიერ წარმოებული პროდუქციის ან გაწეული მომსახურების ზუსტ აღრიცხვას, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს უტყუარი ინფორმაციის მიწოდება საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრისათვის შესაბამისი საფინანსო-საანგარიშსწორებო სისტემის წარმოების, ელექტროენერჯის მოხმარების, მართვისა და რეგულირების მიზნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიღებულ იქნა სემეკის 2000 წლის 29 მარტის №21 გადაწყვეტილება „საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრისათვის საქართველოს ენერჯოსისტემაში ელექტროენერჯის გამოძევაების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის განაწილების, პირდაპირი მომხმარებლების და ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის ექსკლუზიური უფლების მიცემის შესახებ“.

ზემოაღნიშნული ღონისძიებათა გარდა ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის ნორმალური ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით სემეკის მიერ მიღებული იქნა რიგი გადაწყვეტილებები, კერძოდ:

გადაწყვეტილება №75 17.05.00 წ.
გადაწყვეტილება №49 12.07.00 წ.

„საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბ

„სემეკ-ის 2000 წლის 29 მარტის №21 გადაწყვეტილებაში ცვლილებების თაობაზე“.

გადაწყვეტილება №50 07.08.00 წ.

„საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის პირდაპირი მომხმარებლების შესახებ“.

გადაწყვეტილება №51 07.08.00 წ.

„საბითუმო ბაზრის სუბიექტების ხელშეკრულებაში ელექტრო-ენერჯის კომერციული აღრიცხვის პირობების გათვალისწინების შესახებ“.

გადაწყვეტილება №64 04.10.00 წ.

„საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის პირდაპირი მომხმარებლების ნუსხაში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

2000 წლის 4 ნოემბერს სემეკის მონაწილეობით ჩატარდა საბითუმო ბაზრის აღმასრულებელი საბჭოს სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბ-ნი ივერი შალამბერიძის საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორის თაბამდებობიდან გადადგომისა და ბ-ნი დავით ჯიბლაშვილის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით სემეკის მიერ მიღებული იქნა 07.11.2000 წლის №65 გადაწყვეტილება, რითაც დამტკიცებული იქნა საბითუმო ბაზრის აღმასრულებელი საბჭოს 2000 წლის 4 ნოემბრის თათბირზე მიღებული გადაწყვეტილება და ამასთან ერთად ახალ ხელმძღვანელობას დაევალა 3 თვის ვადაში საბითუმო ბაზრის გაფართოებული სხდომის მოწვევა, სადაც ბატონ დ. ჯიბლაშვილს უნდა წარმოედგინა საანგარიშო მოხსენება გაწეული მუშაობისა და სამოქმედო პროგრამის შესახებ.

ზ. სხვა ფუნქციათა განხორციელება

საანგარიშო წლის განმავლობაში სემეკის ელექტროენერჯეტიკულ დეპარტამენტში შემოვიდა ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და განაწილების ლიცენზიატების, აგრეთვე ელექტროენერჯის მომხმარებლების 1000-ზე მეტი წერილობითი კორესპონდენცია და განაცხადი.

შემოსული დოკუმენტები, ძირითადად ეხებოდა ლიცენზირების საკითხს, ლიცენზიატთა ურთიერთობებს მომხმარებლებთან და სხვა ლიცენზიატებთან, მომსახურების საფასურის დადგენას, საწარმოო პერსონალის მიერ ლიცენზიის წესებისა და პირობების დარღვევას, განსაკუთრებით აღსანიშნავია გამანაწილებელი ენერგოკომპანოების მიერ ელექტროენერჯის საფასურის ანაზღაურების დაბალი დონე და დადგენილი ლიმიტების გადაჭარბება.

ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის 2000 წლის ჯამური მონაცემებით, ელექტროსექტორში მთლიანად ამოღებულია დარიცხული თანხის მხოლოდ 19,9%, ამასთან აღსანიშნავია, რომ თანხების ამოღების ყველაზე დაბალი პროცენტული

მაჩვენებლები გააჩნიათ იმ რეგიონულ ენერგოკომპანიებს, რომლებიც სისტემატურად არიან ელექტროენერჯის ლიმიტების გადამხარჯველები, რითაც უმძიმეს მდგომარეობაში აყენებენ ქვეყნის ენერგოსისტემას, ამით გამოწვეული იძულებითი გამორთვების გამო ზიანდება ძვირად ღირებული ენერგეტიკული დანადგარები, იძულებით უწყდება ელექტროენერჯის მიწოდება გადამხდელ მომხმარებლებს, რაც თავის მხრივ იწვევს მათ სამართლიან გულისწყრომას მიღებული ზარალის გამო.

ელექტროენერჯის დადგენილი ლიმიტების გადახარჯვითა და ამოღებული თანხის დაბალი მაჩვენებლებით განსაკუთრებით გამოირჩევიან: რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე, გურიის მხარე, მესხეთის მხარე, ქვემო ქართლის მხარე, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე, იმერეთის მხარე. ასე მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის ენერგოკომპანიამ 2000 წლის მონაცემებით ლიმიტს ზევით გადახარჯა ელექტროენერჯია 235,0 %-ით მაშინ როცა ამოღებული აქვს დარიცხული თანხის 8,2 %. გურიის მხარის ენერგოკომპანიამ მოიხმარა 102,2 %-ით მეტი ელექტროენერჯია, ვიდრე ლიმიტით ქონდა დადგენილი, ხოლო ამოიღო ამ ელექტროენერჯის ღირებულების მხოლოდ 12,0 %. ასევე დიდი გადაჭარბება აქვს ელექტროენერჯის მოხმარებაში მესხეთის მხარის ენერგოკომპანიას—51,9 %, მაშინ როცა ამოღებული თანხა შედგენს 16,4%. ამასთანავე ზოგიერთი სამხარეო ენერგოკომპანიები განსაკუთრებით გადახარჯავენ ელექტროენერჯის დადგენილ ლიმიტებს შემოდგომა-ზამთრის მაქსიმუმის თვეებში, როცა სისტემა განიცდის ელექტროენერჯის მწვავე დეფიციტს. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებიან: რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის ენერგოკომპანია, რომელმაც ოქტომბერში ელექტროენერჯის ლიმიტი გადახარჯა 173,2 %-ით, ნოემბერში 185,1 %-ით, დეკემბერში 461%-ით. მესხეთის მხარის ენერგოკომპანიამ ოქტომბრის თვეში ლიმიტს გადააჭარბა 85,0%-ით, ნოემბერში 54,0 %-ით, დეკემბრის თვეში კი 220, 5 %-ით. ქვემო ქართლის მხარის ენერგოკომპანიამ ოქტომბერში-75,5 %-ით, ნოემბერში-55,4 %-ით, დეკემბერში- 92,0 %-ით. იმერეთის მხარემ დეკემბერში მოიხმარა 30,5 %-ით მეტი ელექტროენერჯია ლიმიტს ზემოთ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მდგომარეობას ჯერ-ჯერობით ვერ უშველა განაწილების სექტორში გახორციელებულმა სტრუქტურულმა რეორგანიზაციამაც — ენერგოკომპანიების სამხარეო პრინციპით მოწყობამ, რაზეც სამხარეო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები გარკვეულ იმედებს ამყარებდნენ. 1999 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შენარჩუნებულია თითქმის იგივე მაჩვენებლები, როგორც ელექტროენერჯის გადახარჯვის საკითხში, ასევე საფასურის ამოღების მხრივ.

იმის გამო, რომ ენერგოკომპანიები ადგილებზე არ ახორციელებენ მოხმარების რეგულირებას დადგენილი ლიმიტების დაცვის მიზნით და ელექტროენერჯის მიწოდების თვალსაზრისით ერთნაირ მდგომარეობაში აყენებენ არგადამხდელ და გადამხდელ მომხმარებლებს, შექმნილია ისეთი პირობები, რომ გადამხდელ რეგიონებს და მომხმარებლებს ხშირად სისტემის მდგრადობის შენარჩუნების აუცილებლობიდან გამომდინარე იძულებით უწყვეტენ ელექტროენერჯის მიწოდებას და ვეღარ აწვდიან ელექტროენერჯის საჭირო რაოდენობას. ე. ი. გადამხარჯველების გამო ენერგოსისტემა კარგავს გადამხდელ მომხმარებელსაც და ამასთან ერთად იმ მიზერულ თანხებსაც, რასაც ჯერ კიდევ იხდიან ეს მომხმარებლები და რაც ასე აუცილებელია ქვეყნის ენერგოსისტემის ფეხზე დასაყენებლად.

2000 წლის შედეგებით, საქართველოში დღე-ღამეში მოიხმარება საშუალოდ 566 ათასი ლარის ელექტროენერგია, ხოლო ამოღებული თანხა შეადგენს 113 ათას ლარს, ე. ი. საფასურის ამოღება ხდება მხოლოდ 73 დღე-ღამეში მოხმარებული ელექტროენერგიისა, დანარჩენი 292 დღე-ღამის განმავლობაში ენერგოსისტემა მუშაობს ანაზღაურების გარეშე. ცხადია, ასეთი მაჩვენებლებით მუშაობის გაგრძელებით ენერგოსისტემა მივა სრულ გაჩერებადღე.

ამ და სხვა სახის დარღვევებზე სემეკი რეგულარულად ახდენდა წერილობით შეტყობინებას ადგილობრივი ხელისუფლების იმ ორგანოების ხელმძღვანელთა მიმართ, რომელთა ნომენკლატურასაც წარმოადგენს დამრღვევი ემერგოკომპანიის ხელმძღვანელი ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი.

3.2 ბუნებრივი გაზის სექტორი

- ა. ბუნებრივი გაზის სექტორის (მიწოდება, ტრანსპორტირება, განაწილება) და გაზმომარაგების თანამედროვე მდგომარეობა.

საქართველოში ჯერ-ჯერობით მხოლოდ თანამდევნი გაზის მოპოვება წარმოებს. 2000 წელს სულ მოპოვებულ იქნა თითქმის 80 მლნ. კუბ. მეტრი გაზი. ამდენად ქვეყნის ბუნებრივი გაზის მომარაგება, შეიძლება ითქვას, მთლიანად გარედან ხორციელდება. 2000 წელს საქართველოს მიეწოდა 1092.6 მლნ. კუბური მეტრი გაზი.

2000 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების საერთო სიგრძე შეადგენს 1940 კმ. აღნიშნული გაზსადენებით ხორციელდება ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება საქართველოს მომხმარებლებისათვის და ტრანზიტი – სომხეთში. გაზსადენების წლიური საპროექტო წარმადობაა 20 მილიარდი კუბური მეტრი.

საქართველოს გაზსადენების ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში.

№	გაზსადენების დასახელება	დიამეტრი, მმ	სიგრძე, კმ	აშენების წელი
1.	ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასია	1200	135	1988-1994
2.	ყაზახ-საგურამო	1000	112	1980
3.	ყარაღალ-თბილისი	800-700-500	110	1959-1968
4.	ვლადიკავკაზ-თბილისი	700	266	1963-1966
5.	საგურამო-ქუთაისი	700-500	370	1967-1975
6.	ქუთაისი-სოხუმი	700-500	338	1986-1989
7.	რუსთავი-თელავი-ჟინვალი	500-300-200	370	1969-1975
8.	წითელი ხიდი-წალკა-ალასტანი	500-300	180	1978-1990
9.	გომი-ხაშური-ბაკურიანი	500-300	59	1972-1989
	სულ:		1940	

აქედან დღეისათვის სხვადასხვა მიზეზის გამო არ მუშაობს შემდეგი გაზსადენები:

1. ზუგდიდი-სოხუმი განშტოებები:	დ = 530 მმ	110,0 კმ.
გალი	დ = 325 მმ	3,4 კმ.
ოჩამჩირე	დ = 530 მმ	1,5 კმ.
სოხუმი	დ = 530 მმ	0,5 კმ.
2. რუსთავი-კაჭრეთი	დ = 30 მმ	55,0 კმ
	დ = 25 მმ	30,0 კმ.
3. დმანისი – ალასტანი	დ = 25 მმ	92,0 კმ.
4. ქობულეთის განშტოება	დ = 530 მმ	67,3 კმ.
5. ფოთის განშტოება	დ = 530 მმ	7,0 კმ.
	დ = 219 მმ	13,3 კმ
	დ = 159 მმ	21,5 კმ
6. ცხინვალი-ჯავა	დ = 325 მმ	21,3 კმ
7. ვლადიკავკაზ – თბილისის გამორთული მონაკვეთები	დ = 720 მმ	4,6 კმ
	დ = 530 მმ	22,0 კმ
8. ყარადაღ-თბილისის გამორთული მონაკვეთები	დ = 530 მმ	26,1 კმ
		სულ 475,8 კმ.

აქედან გამომდინარე დღეისათვის ექსპლუატაციაშია 1464,2 კმ მაგისტრალური გაზსადენი.

გაზსადენები გაყვანილია როგორც რელიეფურ და კლიმატურ პირობებში და 2400 მ სიმაღლეზე კვეთს კავკასიონის მთავარ ქედს. სულ გაზსადენი კვეთს 600 მ-ზე მეტ ბუნებრივ და ხელოვნურ ზღუდეს. 9 კმ სიგრძის გაზსადენი გაყვანილია სპეციალურად აგებულ 14 გვირაბში. 1100 კმ-ზე მეტი სიგრძის გაზსადენი აშენებულია 1959-1975 წლებში. გაზსადენების ხანდაზმულობა, როგორც რელიეფური და კლიმატური პირობები განსაზღვრავს განსაკუთრებულ მოთხოვნებს მათი ექსპლუატაციის მიმართ.

1991-1994 წლებში, ქვეყანაში არასტაბილურობის პერიოდში, მწყობრიდან გამოვიდა ელექტროქიმიური დაცვის სისტემა, დატაცებულ იქნა კათოდური სადგურები და ელექტროდრენაჟული დანადგარები, მათი მკვებავი საკაბელო და საჭაერო ელექტროხაზები. დარჩენილი მცირე ნაწილი კი არასტაბილური ელექტრომომარაგების გამო არ ფუნქციონირებს.

პრაქტიკულად უკანასკნელ 8-10 წლის განმავლობაში მაგისტრალური გაზსადენები აღმოჩნდა ელექტროქიმიური დაცვის გარეშე. შედეგად, თუ გავითვალისწინებთ გაზსადენების უდიდესი ნაწილის განლაგებას მაღალი აგრესიულობის გრუნტებში, დაიწყო კოროზიული პროცესების ინტენსიური განვითარება, რამაც გამოიწვია გაზსადენების დაზიანებები.

გაზსადენების მნიშვნელოვანი ნაწილი, გამოყენებული ჩამკეტი და მარეგულირებელი არმატურა (ონკანები, რეგულატორები, სარქველები), თავისი ტექნიკური მდგომარეობით არ შეესაბამება უსაფრთხოებისა და ტექნიკური

ექსპლუატაციის წესების მოთხოვნებს. არასაკმარისად არის აღჭურვილი საექსპლუატაციო სამსახურები სამშენებლო მექანიზმებით, სპეცტრანსპორტით, კავშირგაბმულობის საშუალებებით და სხვა.

2000 წლის ივლისამდე მაგისტრალური გაზსადენების ექსპლუატაციას, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 20 აპრილის №206 ბრძანებულებით, ფლობის, სარგებლობის, მართვის, ექსპლუატაციის, რეკონსტრუქციის და ყველა სხვა უფლებით, რაც საჭიროა ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისათვის, გადაეცა საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციას, აწარმოებდა სააქციო საზოგადოება „საქტრანსგაზმრეწვი“ კორპორაციასთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე.

იმის გამო, რომ კორპორაციას არ აკმაყოფილებდა „საქტრანსგაზმრეწვის“ მიერ მაგისტრალური გაზსადენების მომსახურებისა და ქონების მოვლა-პატრონობის დონე, მათ შორის ამორტიზებული გაზსადენების შეცვლა-შეკეთება და რეაბილიტაცია, ჩამოაყალიბა თავისი შვილობილი კომპანია შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანია“, რომელსაც ქონების მართვის სახელმწიფო სამინისტროსთან შეთანხმებით 2 წლით გადასცა მაგისტრალური გაზსადენის ოპერირების (მართვის) ფუნქციები.

2000 წლის 17 მარტის №15 გადაწყვეტილებით სემეკმა ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზია გასცა ამ კომპანიასზე (სერია 211 №060). ლიცენზიის საფუძველზე კომპანიას მიეცა მართვის ფუნქციების განხორციელების უფლება, ხოლო სემეკის 2000 წლის 11 აგვისტოს № 53/1 გადაწყვეტილებით „შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ“ კომპანიას მიეცა უფლება „განახორციელოს გაზის ტრანსპორტირება ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემით ან მისი ნაწილით, მიიღოს ბუნებრივი გაზი ერთი ან მეტი მიღების პუნქტიდან და განახორციელოს მისი ტრანსპორტირება ერთ ან მეტ მიწოდების პუნქტამდე მოქმედი ტექნიკური უსაფრთხოების წესებისა და ტექნიკური ექსპლუატაციის წესების დაცვით.“

კომპანია საექსპლუატაციო საქმიანობას პრაქტიკულად შეუდგა 2000 წლის ივლისიდან. განვლილ პერიოდში მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩატარებული გაზის გაჟონვების ლიკვიდაციისა და მოსალოდნელი ავარიების თავიდან აცილების მიზნით. განსაკუთრებით დიდი მოცულობის სამუშაოებია ჩატარებული ყაზბეგის რაიონში მდ. ყუროსა და დევდორაკის გადასასვლელებზე, სასტუმრო გუდაურის მახლობლად. ღვარცოფების, წყალდიდობის, ქვათაცვენის ზემოქმედებისაგან გაზსადენების დასაცავად მდ.არაგვის სანაპიროზე შესრულებულია ნაპირსამაგრი სამუშაოები, გამოვლენილი და ლიკვიდირებულია გაჟონვის წყაროები საგურამოს, გურჯაანის, თერჯოლის ფილიალების სამოქმედო ზონებში. მხოლოდ საგურამოს სახაზო-საექსპლუატაციო ფილიალის მოქმედების ზონაში შეცვლილია 10 კმ-დე სიგრძის მაგისტრალური გაზსადენი. სულ 2000 წლის მეორე ნახევარში შესრულებულია 3 მლნ. ლარის სამუშაოები.

საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების ფუნქციონირების ეფექტიანობის ასამაღლებლად შემუშავებულია რამდენიმე საინვესტიციო პროექტი, მათ შორის:

- საქართველო-რუსეთის საზღვარზე დაბა გველეთში გაზის გამზომი სადგურის მშენებლობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამჟამად დასრულებულია ევროკომისიის ეგიდით წარსამართი

ტენდერისათვის დოკუმენტაციის მომზადება, რათა შერჩეულ იქნენ პროექტის შემსრულებელი კომპანიები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გათვალისწინებულია შემდეგი ტიპის ღონისძიებების განხორციელება:

- არსებული გაზის გამზომი სისტემისათვის ოპტიმაზაციის გეგმის შემუშავება და მის საფუძველზე გაზის ხარჯის გაზომვის ახალი კონცეფციის შექმნა;
- მართვის ეფექტური სტრუქტურის ჩამოყალიბება;
- ცალკეული სტრუქტურული ერთეულებისათვის თეორიული და პრაქტიკული სწავლების მოწყობა;
- სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო აღჭურვილობის შეძენა.

საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია გაზის ხარჯის აღრიცხვის გაუმჯობესების მიზნით ახორციელებს შიდა კონტროლს ცალკეულ სტრუქტურულ დანაყოფებს შორის. ამ მიზნით დამონტაჟებული და გაშვებულია ექსპლუატაციაში გაზის ხარჯის გამზომი კვანძები დასავლეთ საქართველოს განშტოებაზე (აგარიდან დასავლეთით) საგურამოსა და თერჯოლის სახაზო-საექსპლუატაციო ფილიალების ზონების საზღვარზე, კახეთისა და მარნეულის განშტოებებზე. მიმდინარეობს ანალოგიური გამზომი კვანძის მონტაჟი საგურამოში, ქვეშეთისა და საგურამოს ფილიალების მომსახურების ზონებს შორის.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით ხორციელდება 17 ცალი ტურბინული მრიცხველის შეძენა ელექტრონული კორექტორებით, რომლებითაც შეიცვლება ამორტიზებული მრიცხველები გაზის გამანაწილებელ სადგურებში მსხვილ მოხმარებლებთან.

საქართველო გაზიფიკაციის დონით ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკა იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში. ღებუნებრივი გაზით გაზიფიცირებული იყო 48 ქალაქი და 230 სოფელი, 600 ათასი ბინა, 800 საწარმო, 1500 გამთბობი საქვაბე, 2000 კომუნალური ობექტი. ააშენდა 8 ათასი კმ გამანაწილებელი ქსელი. 1985 წელს ბუნებრივი გაზის მოხმარებამ 6 მილიარდ მ³-ს მიაღწია, რამაც ქვეყნის სათბობის ბალანსის 60% შეადგინა.

დღეისათვის გაზის მოხმარება მკვეთრად შემცირდა და მხოლოდ 1,1 მილიარდ მ³-ს შეადგენს წელიწადში. ჯეს ძირითადად გამოწვეულია მსხვილი საწარმოების უმოქმედობით, გამანაწილებელი ქსელის გაუმართაობით და მოსახლეობის გადახდის უუნარობით.

საკმარისია აღინიშნოს, რომ 48 გაზიფიცირებული ქალაქიდან გაზით სარგებლობს მხოლოდ 32, ხოლო 230 სოფლიდან – რამდენიმე. სულ გაზით სარგებლობენ გაზიფიცირებული ბინების მხოლოდ 20%-ში.

ქ. თბილისში 1989 წელს გაზიფიცირებული იყო 293000 ბინა, ბუნებრივი გაზის მოხმარება შეადგენდა 2 მლრდ. მ³, აქედან 1 მლრდ მ³- ცენტრალიზებულ გათბობაზე. ვდღესდღეობით გაზიფიცირებულია დაახლოებით 60000 ბინა, მოხმარება კი შეადგენს 130 მლნ. მ³-ს წელიწადში.

მონაცემები საქართველოს გაზმომარაგების ცალკეული ობიექტების შესახებ (შედარებულია 1990 და 2000 წლის მონაცემები) მოყვანილია დანართში.

1996 წელს ლიკვიდირებული იქნა დეპარტამენტი “საქგაზი”. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ თავის თავზე აიღო განსაზღვრული ფუნქციები—გაზის მეურნეობაში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების კოორდინაცია. თუმცა გამანაწილებელი გაზის კომპანიები, რომლებიც ადგილობრივი მართვის ორგანოებს გადაეცათ დაქვემდებარებაში, ფაქტიურად თავის თავის ანაბრად დარჩნენ და ახალ ათასწლეულში უკიდურესად არასანუგეშო შედეგებით შევიდნენ, მათ შორის აღსანიშნავია:

- მძიმე, ვაკოტრების ზღვარზე, ეკონომიური მდგომარეობა (ბევრი მათგანი არ ფუნქციონირებს);
- ძირითადი ფონდების დაძველება, მათი რეაბილიტაციის აუცილებლობა, რაც საკმაოდ რთულია ფინანსური სახსრების უქონლობისას;
- გაზის აღრიცხვის სათანადო სისტემის არქონა, მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო მრიცხველების დაყენების აუცილებლობა, რის გარეშეც პრაქტიკულად შეუძლებელია აირმომარაგების აღდგენა;
- მოძველებული ნორმატიული ბაზა;
- კადრების დაბერება;
- საკუთრების გადანაწილება და მართვის სტრუქტურაში მოსალოდნელი ცვლილებები;
- აღარ ინერგება ახალი ტექნიკა და ტექნოლოგიები და ა.შ.

ბ. ტარიფის დადგენა და რეგულირება

ხელმძღვანელობდა რა იუსტიციის სამინისტროში რეგისტრირებული დადგენილებით „ბუნებრივი გაზის ტარიფების დადგენის წესისა და მეთოდოლოგიით“ (№6, 08.09.99წ.), სემეკ-მა 2000 წელს მიიღო მთელი რიგი დადგენილებები და გადაწყვეტილებები.

2000 წლის 23 თებერვლის №12 გადაწყვეტლებით სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციასა“ და შპს „ექს“ შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, შპს „ექსმა“ ყოველი 1000 მ3 ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების საფასურად უნდა დაუტოვოს სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციას“ ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების რაოდენობის 8,5% განბაჟებული გაზი.

2000 წლის 16 მაისის № 28 გადაწყვეტილებით დამტკიცდა:

1. ქ.თბილისის იმ მომხმარებლისათვის, რომელთა მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის აღრიცხვა არ ხორციელდება ინდივიდუალური მრიცხველებით, 2000 წლის 1 მარტიდან – 1 ნომბრამდე ანგარიშსწორებისას გამოყენებულ იქნა ქ. თბილისის მერიის დადგენილებით დამტკიცებული სულადობის მიხედვით გაზის მოხმარების ნორმები და ამ ნორმების მიხედვით განსაზღვრული ყოველთვიური ფიქსირებული გადასახადები:

ოჯახის სულადობა	მოხმარების ნორმა, მ3 თვეში	ფიქსირებული გადასახადი ლარი/თვეში
ერთსულიანი	26	6.5
ორსულიანი	40	10
სამსულიანი	50	12.5

ოჯახის სულადობა	მოხმარების ნორმა, მ3 თვეში	ფიქსირებული გადასახადი ლარი/თვეში
ოთხსულიანი	60	15
ხუთსულიანი	70	17.5

ხუთ სულზე ზევით, ხუთსულიანი ოჯახისათვის დაწესებულ გადასახადს დაემატოს თითოეულ წევრზე 75 თეთრი თვეში;

გარდა ამისა, სს „თბილგაზმა“ 2000 წლის ნოემბრამდე უნდა უზრუნველყო მრიცხველ-ლებით ქ. თბილისის უმრიცხველო მომხმარებლები.

2000 წლის 17 მაისის №6 დადგენილებით, რომელიც გატარდა რეგისტრაციაში იუსტიციის სამინისტროში (№120.013.004.246, 18 მაისი 2000 წელი) დადგინდა:

1. სს „საქგაზი“-სათვის ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფი (დღგ-ს ჩათვლით) ყოველი 1000 მ3-სათვის : ქ. თბილისში – 143 ლარი და 15 თეთრი, ხოლო საქართველოს სხვა ქალაქებისა და რაიონებისათვის – 143 ლარი და 40 თეთრი. ეს ტარიფი არ გავრცელდა ელექტროენერჯის წარმოებისათვის თბოელექტროსადგურებისათვის მიწოდებულ ბუნებრივ გაზზე.
2. სს „საქგაზი“-დან თბოელექტროსადგურებისათვის (სს „თბილსრესი“ და სს „თბილთეცი“) ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფი (დღგ-ს გარშე) 93,4 ლარი ყოველი 1000 მ3 –სათვის.
3. სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციისათვის“ ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ტარიფი ყოველი 1000 მ3 –სათვის 16,6 ლარის ოდენობით (დღგ-ს ჩათვლით).
4. ბუნებრივი გაზის საცალო მოხმარების ტარიფი (თეთრი ყოველი კუბური მეტრისათვის): თეთრიწყაროსათვის – 24,2 და სამტრედიასათვის – 23,2.

2000 წლის 31 მაისის №7 დადგენილებით, რომელიც გატარდა რეგისტრაციაში იუსტიციის სამინისტროში (№120.013.004.213, 9 ივნისი 2000 წელი), სს „ავტოგაზ“-ს დაუმტკიცდა ავტომანქანების გასამართი შეკუმშული გაზის საცალო ფასი:

ა) 2000 წლის 15 ივნისიდან 2000 წლის 1 ოქტომბრამდე 35 თეთრი თითოეული მ3- სთვის.

ბ) 2000 წლის 1 ოქტომბრიდან 40 თეთრი თითოეული მ3 –სთვის.

2000 წლის 17 მაისის №32 გადაწყვეტილებით დამტკიცდა სს „თეთრიწყაროგაზი“-ს მიერ თეთრიწყაროს რაიონის ორგანიზაციებისთვის მიწოდებული ბუნებრივი გაზის საცალო ტარიფი, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, 348,0 ლარის ოდენობით ყოველი 1000 მ3-სათვის.

2000 12 ივლისის №45 გადაწყვეტილებით სს „თელავიგაზ“-ს დაუმტკიცდა განაწილების ტარიფი 107 ლარი ყოველი 1000 მ3-სათვის.

2000 12 ივლისის №46 გადაწყვეტილებით სს „ყვარელიგაზ“-ს დაუმტკიცდა განაწილების ტარიფი 100 ლარი ყოველი 1000 მ3-სათვის.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოცემულია №11 დანართში.

გარდა ამისა, სემეკ-მა დაადგინა ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფები ზოგიერთი კატეგორიის მომხმარებლებზე, რომელთა შესახებ მონაცემები მოყვანილია №13 დანართში.

ბუნებრივი გაზის შესყიდვის ფასის შესაძლო ზრდასთან დაკავშირებით შემუშავებული იქნა რიგი წინადადებები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ აღნიშნული საკითხის დარეგულირებას (იხ. დანართი).

საბაზრო ეკონომიკურ პრინციპებზე გარდამავალ პერიოდში ბუნებრივი გაზის სექტორის აღდგენა-რეაბილიტაციის აუცილებლობის. ტარიფების დადგენის ლიბერალიზაციისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით დამუშავდა პროექტი, რომლის მიხედვითაც გაზის განაწილების ტარიფის დასადგენად, დროებით, გამანაწილებელი მეურნეობები დაჯგუფდებიან სამ ჯგუფად და გამოყენებული იქნება ტარიფების დადგენის გამარტივებული წესი.

გ. ლიცენზირება

ლიცენზირების წესები და პირობები ბუნებრივი გაზის სექტორში ადგენს იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ამ სექტორში დასაქმებული ინდივიდუალური მეწარმე ან იურიდიული პირი, მიუხედავად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, აგრეთვე განსაზღვრავს ლიცენზიის გაცემასთან, მოდიფიცირებასთან, შეჩერებასთან ან გაუქმებასთან დაკავშირებულ წესებს, პირობებსა და პროცედურებს.

2000 წელს სემეკ-ის 5 სხდომა მიემდგნა ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების, მიწოდებისა და განაწილების ლიცენზიების გაცემას. გაიცა სულ 23 ლიცენზია, რომელთა მფლობელები გახდნენ 12 საწარმო.

1. ტრანსპორტირების ლიცენზია

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40-ე მუხლის „1“ პუნქტის თანახმად, ბუნებრივი გაზის ლიცენზია უფლებას აძლევს იურიდიულ პირს განახორციელოს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება ტრანსპორტირების სისტემის საშუალებით. სემეკ-ის მიერ 2000 წელს გაცემულია ერთი ტრანსპორტირების ლიცენზია შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“ (გადაწყვეტილება №15, 17. 03. 2000 წ) სერია - 220 №059, რომლითაც გაუქმდა სემეკ-ის 1999 წლის 24 სექტემბრის №52 გადაწყვეტილებით სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციაზე“ გაცემული ტრანსპორტირების ლიცენზია სერია - 220 №020 (იხ. დანართი).

2. მიწოდების ლიცენზია

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის „1“ პუნქტის თანახმად, სემეკ-ის მიერ გაცემული

ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზია უფლებას აძლევს იურიდიულ პირს ან ინდივიდუალურ მეწარმეს იყიდოს და/ან გაყიდოს ბუნებრივი გაზი სხვა მიწოდების ლიცენზიანტზე ან მომხმარებელზე. სემეკ-ის მიერ 2000 წელს გაცემულია 13 მიწოდების ლიცენზია. მონაცემები ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისა და მიწოდების ლიცენზიანტების შესახებ მოყვანილია დანართში. ცალკე აღვნიშნავთ სემეკ-ის 2000 წლის 17 მარტის №13 გადაწყვეტილებით შპს „ეი-ი-ეს გარდაბანზე“ გაცემულ მიწოდების ლიცენზიას, რომლითაც გაუქმდა სემეკ-ის 1999 წლის

2 დეკემბრის №67 გადაწყვეტილებით სს „ეი-ი-ეს თელასზე“ გაცემული მიწოდების ლიცენზია - სერია 211 №040, და სემეკ-ის 2000 წლის 17 მარტის №15 გადაწყვეტილებით შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“ გაცემულ მიწოდების ლიცენზიას, რომლითაც გაუქმდა სემეკ-ის მიერ 1999 წლის 24 სექტემბრის №52 გადაწყვეტილებით სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კომპანიაზე“ გაცემული მიწოდების ლიცენზია – სერია 220 №020 (იხ. დანართი).

3. განაწილების ლიცენზია

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის „1“ პუნქტის თანახმად, განაწილების ლიცენზია უფლებას აძლევს იურიდიულ პირს ექსპლუატაცია გაუწიოს გამანაწილებელ ქსელს და გაანაწილოს ბუნებრივი გაზი განსაზღვრული ადმინისტრაციული ან გეოგრაფიული ზონის ან კონკრეტული გამანაწილებელი სქელის ფარგლებში. სემეკ-ის მიერ 2000 წელს გაცემულია 9 განაწილების ლიცენზია, რომელთა შესახებ ინფორმაცია მოყვანილია დანართში.

ლიცენზიების დანართში მოყვანილი ცვლილებების გამო მოდიფიცირება ჩაუტარდა 4 ლიცენზიატს. მონაცემები ამის შესახებ მოყვანილია დანართში.

დანართში მოყვანილია აგრეთვე 2000 წელს ლიცენზირებული ორგანიზაციების სია, მათი მონაცემები და იმ ორგანიზაციების სია, რომელთაც საერთოდ არ წარმოუდგენიათ ან ნაწილობრივ წარმოადგინეს დოკუმენტაცია ლიცენზირებისათვის.

დ. ლიცენზიის პირობებისა და წესების შესრულების კონტროლი

სემეკმა გაზის მეურნეობებზე ლიცენზიების გაცემა დაიწყო 1999 წლის ბოლოს. 2000 წელს გაიცა საკმაოდ მცირე რაოდენობის ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია. ლიცენზიის პირობების შესრულება ლიცენზიატების მიერ გართულებული იყო, ვინაიდან ბევრი მათგანი დიდი ზარალით მუშაობდა მძიმე ტექნიკური მდგომარეობის გამო. ანალოგიური პროცესი გაგრძელდა 2000 წელსაც. ამიტომ ბუნებრივი გაზის დეპარტამენტმა გადაწყვიტა ლიცენზირებული გაზის მეურნეობების ზედამხედველობის დაწყება 2001 წლიდან.

საანგარიშო წელს მაგისტრალური გაზსადენის რეალური მდგომარეობის შესწავლის მიზნით სემეკ-მა გადაწყვიტა შეექმნა კომპეტენტური კომისია სხვადასხვა სპეციალისტების მონაწილეობით.

სემეკის ინიციატივით ჩატარდა სხდომა (ოქმი №1, 15.05.2000წ.) დღის წესრიგით: საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის ტექნიკური მდგომარეობის ექსპერტული შეფასებისათვის კომისიის შექმნის შესახებ. სხდომაზე გადაწყდა შექმნილიყო კომისია ათი კაცის შემადგენლობით, რომელსაც უხელმძღვანელებდა სემეკ-ის ბუნებრივი გაზის დეპარტამენტის უფროსი ბ-ნი დ. ნამგალაძე. ადინიშნა ისიც, რომ საჭიროების შემთხვევაში კომისიის მუშაობაში ექსპერტის სახით ჩაერთოთ სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. აკომისიას დაევალა სამი დღის ვადაში წარმოედგინა სამუშაო პროგრამა.

სემეკის ბუნებრივი გაზის დეპარტამენტის უფროსის, ბ-ნი დ. ნამგალაძის თავმჯდომარეობით ჩატარებულ მორიგ სხდომაზე (ოქმი №2, 17.05.2000წ.) დაისვა

საკითხი მობილური ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელიც ადგილზე გასვლით შეამოწმებდა ყველა უბანს და კონკრეტულ მასალას წარუდგენდა კომისიას. საკითხის განხილვის საფუძველზე სხდომის წევრებმა შეიმუშავეს საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის პროგრამა. ამ პროგრამა დამტკიცებული იქნა სემეკ-ის თავმჯდომარის მიერ.

სს “საქტრანსგაზმრეწვი“-სა და სს “საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის” მიერ სემეკის კომისიაში წარმოდგენილი მაგისტრალური გაზსადენის შესახებ ტექნიკური დოკუმენტაციის (დეფექტური აქტები, ფოტომასალა და სხვ.) ანალიზის შემდეგ ტრანსპორტით, ფოტო და ვიდეო აპარატურით აღჭურვილმა მობილურმა ჯგუფმა ბ-ნების: ი. ხეროდინაშვილის - სემეკ-ის ექსპერტის, დ. ელიაშვილის - საერთაშორისო ენერჯეტიკული კომპანია “იტერა“-ს წარმომადგენლობის მეთაურის მოადგილის, ტ. კაპანაძის - საქართველოს საერთაშორისო გაზის კორპორაციის გაზსადენების კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილის, ი. ნიკოლაიშვილის - სს “საქტრანსგაზმრეწვი“-ს ტექნიკური დირექტორის და ს. ცინცაძის - სს “საქტრანსგაზმრეწვი“-ს ტექნიკური განყოფილების უფროსის შემადგენლობით, პროგრამის შესაბამისად, შეამოწმა გაზსადენის ყველა ის უბანი რუსეთ-საქართველოს საზღვრიდან საქართველო-სომხეთის საზღვრამდე, რომლებიც მოითხოვდნენ კონკრეტულად ადგილზე შემოწმებას.

საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა განეკუთვნება ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის 1200 მმ-იან და საგურამო-წითელიხიდის 1000 მმ-იან გაზსადენებს, რომლითაც ძირითადად ხორციელდება გაზის მიწოდება.

1200 მმ-იანი გაზსადენის მშენებლობა წარმოებდა გაზის მრეწველობის სამინისტროს სახსრებით. ვგაზსადენის მშენებლობის დამთავრებამდე საბჭოთა კავშირის დაშლის გამო შეწყდა ცენტრალიზებული დაფინანსება. შეუსრულებელი დარჩა ნაპირსამაგრი და ეროზიასაწინააღმდეგო ღონისძიებების უდიდესი ნაწილი, რამაც არაერთხელ გამოიწვია მაგისტრალური გაზსადენების, როგორც 1200 მმ-იანის, ასევე 700 მმ-იანის (რადგანაც ათეულ კილომეტრზე ორივე გაზსადენი, ტრასის ზოლის სივიწროვის გამო განლაგებულია სპეციალურად მოწყობილ ერთ თაროზე) დაზიანება-გაწყვეტა და გაზმომარაგების სრული შეწყვეტა.

ვგანსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა გაზსადენებზე უკანასკნელ წლებში წარმოებული აფეთქებების შედეგად. ემართო 1993-1995 წლებში საქართველოს მაგისტრალურ გაზსადენებზე 18-ჯერ იქნა განხორციელებულ დივერსიული აფეთქებები. სისტემის ნორმალური ექსპლუატაცია გაართულა აგრეთვე გაზსადენების დაზიანებამ გარეშე პირთა მიერ კონდენსატის დატაცების მიზნით. 1994-1996 წლებში აღდგენილ იქნა დაზარებული გაზსადენები 400-ზე მეტ ადგილას (ხშირ შემთხვევაში აღდგენა ხდებოდა დარღვევით-ნორმატივების გარეშე).

ფინანსურ-ეკონომიკური შესაძლებლობის შეზღუდულობის გამო მაგისტრალურ გაზსადენებზე პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოები უკანასკნელ წლებში არ ტარდებოდა იმ მოცულობით, რაც რეგლამენტირებულია ტექნიკური ნორმებით.

საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების ტექნიკურმა მდგომარეობამ მიაღწია კრიტიკულ ზღვარს და ვერ უზრუნველყოფს სტაბილურ და უავარიო მუშაობას. თუ უმოკლეს დროში არ იქნება მიღებული რეალური ზომები, დაიწყება

შეუქცევადი პროცესები, რომელთა გამოსწორება უკვე შეუძლებელი იქნება, ტრანსპორტირების სისტემა შეწყვეტს ფუნქციონირებას აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

განსაკუთრებით საშიში სიტუაციაა ძირითად სატრანზიტო 1200 და 700 მმ-იანი გაზსადენების გვირაბებში გამავალ მონაკვეთებზე, მდ. ჰდევლორაკის, ბაიდარასა და ყუროს გადასასვლელებზე.

ემე-4 გვირაბის კომპენსატორები დაუცველია, 40 მ-ის სიგრძეზე საჭიროებს 2მ სიმაღლის კედლების ამოშენებას და გადახურვას. გამოსასვლელში გაზსადენი ღიადაა და საჭიროებს 30მ სიგრძეზე ბეტონის მონოლითის ჩასხმას. ემე-5 გვირაბის კომპენსატორების დამცავი კედლები ჩამონგრეულია. საჭიროა 20-20 მ სიგრძის და 2მ სიმაღლის კედლების ამოშენება და გადახურვა. სათანადოდ მე-6 გვირაბში გადასახურია 40მ და 30მ.

მდ. ჰდევლორაკის მარჯვენა ნაპირზე მილი გაშიშვლებულია 80 მ სიგრძეზე, იზოლაცია დაზიანებულია, სასწრაფო ზომებია მისაღები გადარეცხვისაგან შესაჩერებლად.

მდ. ყუროს ხევში დაზიანებულია და ყველაზე ავარიულ მდგომარეობაშია წყალქვეშა გადასასვლელი.

მდ. ბაიდარის თაროზე განლაგებული გაზსადენი გადარეცხილია 40 მ სიგრძეზე და საჭიროებს დამცავი საყრდენი კედლის მოწყობას.

საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის ტექნიკური მდგომარეობის ექსპერტული შეფასების კომისიამ ბ-ნ დ. ნამგალაძის თავმჯდომარეობით სხდომაზე განიხილა მუშა ჯგუფის მიერ ადგილზე მაგისტრალური გაზსადენის დათვალიერების შედეგები (ოქმი №3, 6.06.2000წ.) და გადაწყვიტა: აღნიშნული კრიტიკული მდგომარეობიდან გამომდინარე სასწრაფოდ შეყვანილიყო საქმის კურსში სახელმწიფო მინისტრი ბ-ნი გია არსენიშვილი; მაგისტრალის ყველაზე ავარიული ყუროს მონაკვეთზე კი დასათვალიერებლად სასწრაფოდ გასულიყო მუშა ჯგუფი კონკრეტული ღონისძიებების დასასახად.

ა2000 წლის 8 ივნისს ადგილზე გასვლისა და შემოწმების საფუძველზე კომისიამ შემდეგი შემაღვენლობით: ბ-ნები დ. ნამგალაძე - კომისიის თავმჯდომარე, სემეკის ბუნებრივი გაზის დეპარტამენტის უფროსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი; ც. მირცხულავა - ინსტიტუტ “წყალეკოლოგიის” დირექტორი, საქ. მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; ე. წერეთელი - საქ. გეოლოგიის სახ. ჰდეპარტამენტის ცენტრ “სტიქიას” გენ. ჰდირექტორი, ტექ. ემეცნიერებათა კანდიდატი; ჯ. წერეთელი - დეპარტამენტ “საქგეოლოგიის” საინჟინრო-გეოლოგიური სამსახურის უფროსი, ტექ. მეცნიერებათა კანდიდატი; დ. ელიაშვილი - საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია “იტერა“-ს წარმომადგენლობის მეთაურის მოადგილე, საქ. საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი; ი. ლომიძე - საქ. ტექ. უნივერსიტეტის ჰიდრომანქანების კათედრის გამგე, შპს “გეოინჟინირინგი“-ს ექსპერტი, ტექ. ემეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ტ. კაპანაძე - საქ. საერთაშორისო გაზის კორპორაციის გაზსადენების კომპანიის გენ. ჰდირექტორის მოადგილე; ი. ხეროდინაშვილი - სემეკის მთავარი ექსპერტი; ჭ. მაჩაიძე - ეროზიის საწინააღმდეგო და ნიადაგის აღდგენის ფირმა “მამული“-ს დირექტორი, გააკეთა დასკვნა (დანართი

20) მდინარე ყუროს ხევის გადაკვეთაზე გაზსადენის საშიშროების შემცირების შესახებ (ყაზბეგის რაიონი).

ააღსანიშნავია, რომ მდ. ყუროს ხევი მთელი თავისი არსებობის მანძილზე აქტიურ ღვარცოფული პროცესების არეს წარმოადგენს, ამიტომაც მასზე გამავალი გაზსადენის მიღები მაღალი საშიშროების რისკის არეში იმყოფება და მოითხოვს სასწრაფო გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ გამოკვლევას, დამცავი ღონისძიებების დამუშავებას და განხორციელებას. ეეს ღონისძიებები უნდა დაიყოს ორ რიგად.

ი რიგის-ავარიული გადაუდებელი ღონისძიებები სასწრაფოდ მოითხოვს:

- 1200მმ გაშიშვლებული მილის გადაკვეთასთან შექმნილ გარეცხვის ორმოს შევსებას, მილსადენიდან დაახლოებით 30მ-ის სიგრძეზე, გაბიონებით, გაბიონების ბალიშებით, ქვის ლოდებით, ბეტონის კონსტრუქციების ნარჩენებით;

- მდინარის ქვედა ნაწილში მარჯვენა ბორტთან განთავსებული იმ ქვის ლოდების გადატანა მდინარის მარცხენა ნაპირზე, რომელიც უცვლის ღვარცოფულ ნაკადს მიმართულებას და გარეცხვის საფრთხეს უქმნის 700 მმ გაზსადენის საყრდენებს.

ი რიგის-კაპიტალური ღონისძიებების წინასწარი მოსაზრებები უნდა მოიცავდეს:

- გაზსადენის გადაკვეთაზე არსებული რკინა-ბეტონის ნაგებობის აღდგენა-გადლიერებას, მის ადგილზე ტრამპლინის ტიპის ღვარცოფის გადამგდები ნაგებობების აშენებას;

- ნაკადის გარეცხვისუნარიანობის შემცირების ღონისძიებების განხორციელებას მდ. ყუროს უდიდესი ქანობის შემცირების მიზნით;

- ხევის ახალ ტოპოგრაფიულ აგეგმვას და ანალიზს, თუ როგორი დეფორმირებული ცვლილებები განიცადა კალაპოტმა და მისმა ბორტებმა ამ დროის მანძილზე; უნდა დაფიქსირდეს მდ. ყუროს წყალშემკრებ აუზში თუ რა რაოდენობის ღვარცოფტრანსფორმირებადი მყარი მასალა დაგროვდა და როგორია ფორმირების ტენდენციები და საშიშროების ხარისხი.

ვლევანდელი მდგომარეობით მაგისტრალური გაზსადენების გაყვანა პირველი კლასის გაზსადენების პარამეტრებზე შეუძლებელია მისი რეკონსტრუქციის, კაპ. რემონტისა და შესაბამისი გამოცდის გარეშე.

ქკომისია თვლის, რომ გამოვლენილ დაზიანებებზე და ავარიულ მონაკვეთებზე წარმოდგენილი დეფექტური აქტების საფუძველზე სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს აღდგენითი ღონისძიებები, ხოლო სადაც ამას საჭიროება მოითხოვს (მაგ. ემდ. ყუროს გადასასვლელი) წინასწარ გამოკვლევის საფუძველზე დამუშავდეს სათანადო პროექტები.

ე. პრივატიზაციის პროცესი

საანგარიშო წელს სემეკი აქტიურად მონაწილეობდა სექტორის პრივატიზაციის პროცესში. კერძოდ, ბუნებრივი გაზის დეპარტამენტის უფროსი დ. ნამგალაძე, როგორც ქ. თბილისის მერიასთან შექმნილი საპრივატიზაციო კომისიის წევრი, მონაწილეობდა ქალაქის პრემიერ გ. შერაძესთან ჩატარებულ სამ სხდომაში. პირველ თათბირზე (13.06. 2000წ.) განიხილებოდა სს „თბილგაზისათვის“ ვალების ჩამოწერის და მისი შპს „გაზმშენთან“ ურთიერთობის საკითხი. აღინიშნა, რომ შპს „გაზმშენს“ არ გააჩნია

ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია და მისი მოქმედება ქ. თბილისში უკანონოა. მეორე თათბირი (20.06.2000წ.) ძირითადად მიეძღვნა „AES-თელასის“ მიერ წარმოდგენილ მემორანდუმს, რომლის მიმართ გამოითქვა მრავალი შენიშვნა. გადაწყდა, რომ კომისიის წევრებს შემდეგი თათბირისათვის წარმოედგინათ თავისი შენიშვნები მემორანდუმთან დაკავშირებით. შემდეგ წარადგინა 26 შენიშვნა, რომლებიც შემდეგ შევიდა საერთო შენიშვნების ნუსხაში. მესამე თათბირზე (07.07.2000წ.) განხილულ იქნა კომპანია „იტერას“ წინადადებები, რომლებიც მიუღებლად ჩაითვა. დამტკიცდა შენიშვნების ნუსხა, რომელიც გაეგზავნა „AES-თელასს“. აგრეთვე აღინიშნა, რომ შესაძლებელია წინადადებებით სს „თბილგაზის“ შესყიდვასთან დაკავშირებით შემოვიდეს იტალიური ფირმა „AGZ“ და სს „საქგაზი“. პროცესი დასრულდა „AES-თელასის“ გენერალური დირექტორის მაიკლ სქოულის წერილით (№1-01/18, 10.07.2000წ.), რომლითაც მან აცნობა ქ. თბილისის მერიას, რომ „AES-თელასი“ უარს ამბობს სს „თბილგაზის“ შესყიდვაზე. შემდგომში პროცესი შემდეგნაირად განვითარდა: აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო „USAID“-ის ეგიდით PA Consulting-ი ჩაატარებს ექვსთვიან სამუშაოს სს „თბილგაზის“ მენეჯმენტის გაუმჯობესების მიზნით, რათა სს „თბილგაზი“ მომზადებული შეხვედეს შემდგომ ტენდერს მის პრივატიზაციასთან დაკავშირებით.

ვ. სხვა ფუნქციათა განხორციელება

სემეკის მიერ მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა ბუნებრივი გაზის სექტორის ლიცენზიატებს შორის, აგრეთვე, ლიცენზიატებსა და მომხმარებლებს შორის წარმოქმნილი დავების დარეგულირებისათვის. მათ შორის აღსანიშნავია:

1. დავა სს „კასპიგაზისა“ და სს „მეტეხი კერამიკას“ შორის:

სემეკ-ში შემოვიდა „მეტეხი კერამიკის“ წერილი (№09, 08.02.2000წ.), რომელშიც მოითხოვა განმარტება ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფის შესახებ. სს „მეტეხი კერამიკას“ განემარტა (წერილი №8/12-169, 14.03.2000წ.), რომ სემეკ-ის 2000 წლის 23 თებერვლის №1 გადაწყვეტილებით სს „კასპიგაზს“ პირდაპირი მომხმარებლისათვის 2000 წლის 1 იანვრიდან დაუდგინდა განაწილების ტარიფი 56,3 ლარი 1000 კუბური მეტრისათვის. ამის შემდეგ დავის საგანი მოიხსნა.

2. დავა შპს „გუდაურსა“ და სს „საქგაზს“ შორის:

სემეკ-ში შემოსულ წერილში (№107-1, 07.01.2000წ.) შპს „ე.ს.გუდაურის“ გენერალური დირექტორი ბ-ნი ვ. მიქელაძე ითხოვდა გაერკვიათ, რომელი ნორმატიული დოკუმენტის საფუძველზე ხდება მოხმარებული გაზის მოცულობის და საფასურის ანგარიში. ემას განემარტა (წერილი №27/10-153, 22.02.2000წ.), რომ სს „საქგაზსა“ და შპს „ე.ს.გუდაურს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, მოხმარებული გაზის რაოდენობის გამოთვლა ხდება ამ ხელშეკრულების №7 მუხლებში ჩამოთვლილი ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად, ამავე ხელშეკრულების თანახმად სს „საქგაზის“ მიერ შპს „ე.ს.გუდაურზე“ მისაყიდი ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფი 1000 მ³-ზე განსაზღვრულია სემეკის 1999 წლის 27 აგვისტოს №5 დადგენილებით და შეადგენს 160 ლარს დღე-ს ჩათვლით. ამავე დადგენილებით 1999 წლის 1 აგვისტოდან ქ. დუშეთის, რომელსაც ბუნებრივ გაზს აწვდის სს „საქგაზი“, ყველა კატეგორიის მომხმარებლებს დაუდგინდათ საცალო

მოხმარების ერთიანი ტარიფი 182 ლარი 1000 მ ბუნებრივ გაზზე. რადგანაც სს „დუშეთიგაზი“ ჯერ არ არის სემეკ-ის ლიცენზიატი, ამიტომ მისთვის ტარიფი ჯერ არ გადასინჯულა. ამ განმარტების შემდეგ დავა შეწყდა.

3. სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციასა“ და სს „საქტრანსგაზმრეწვს“ შორის დავას გააჩნია საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია:

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 12 აგვისტოს №519 ბრძანებულებით შეიქმნა სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია“, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 20 აპრილის №206 ბრძანებულების თანახმად, გადაეცა მაგისტრალური გაზსადენი მისი ინფრასტრუქტურის მართვის უფლებით.

1998 წლის 4 სექტემბერს კორპორაციასა და სს „საქტრანსგაზმრეწვს“ შორის დაიდო 30 წლიანი ხელშეკრულება მაგისტრალური მილსადენის ექსპლუატაციის შესახებ, ე. ი. იმავე ვადით, რა ვადითაც გადაეცა ქონება კორპორაციას.

1998 წლის 31 დეკემბერს სს „საქტრანსგაზმრეწვის“ გენერალურმა დირექტორმა ი. ზაზაშვილმა მიმართა წერილით (№01/1638, 31.12.98წ.) კორპორაციის პრეზიდენტს ა. გოცირიძეს, რომელშიც სთხოვდა შეწყვეტილად ჩათვალით შემოაღნიშნული ხელშეკრულება, რაზედაც მიიღო დასტური 1999 წლის 15 იანვარს წერილით №5/1გ/კ. 15.01. 99წ.

1999 წლის 24 სექტემბერს სემეკ-მა №52 გადაწყვეტილებით გასცა ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზია კორპორაციაზე (სერია 220, №020), ხოლო იმავე წლის 29 ოქტომბერს ანალოგიური ლიცენზია საქტრანსგაზმრეწვზე (სერია 220, №035) სს „ავტოგაზთან“ ხელშეკრულების საფუძველზე.

1999 წლის 9 დეკემბერს დაიდო 6 თვიანი ხელშეკრულება კორპორაციასა და საქტრანსგაზმრეწვს შორის მილსადენის ექსპლუატაციის შესახებ. 2000 წლის 3 იანვარს კორპორაციამ დააფუძნა შვილობილი საწარმო შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“, რომელსაც სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან შეთანხმებით, კორპორაციამ გადასცა მაგისტრალური გაზსადენის ოპერირების (მართვის) ფუნქციები 2 წლის ვადით. აღნიშნულის გათვალისწინებით, კორპორაციის თხოვნის საფუძველზე, სემეკ-მა გააუქმა კორპორაციაზე გაცემული ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზია და 2000 წლის 17 მარტის №15 გადაწყვეტილებით ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზია გასცა კომპანიაზე (სერია 211, №060). ამ ლიცენზიის დანართში (თავი ირი „დამატებითი მოთხოვნები ლიცენზიანტის მიმართ“) ნათქვამია, რომ კომპანიას ეძლევა უფლება მართვის ფუნქციების განხორციელებისა ლიცენზიის გაცემისთანავე, ხოლო ექსპლუატაციის უფლება მიეცემა კადრებითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით დაკომპლექტების შემდეგ. მანამდე მაგისტრალური გაზსადენების ექსპლუატაცია უნდა ეწარმოებინა საქტრანსგაზმრეწვს ხელშეკრულებით.

ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე კორპორაციამ აცნობა სს „საქტრანსგაზმრეწვს“, რომ არ აპირებს მასთან ხელშეკრულების გაგრძელებას, რის საპასუხოდ სს „საქტრანსგაზმრეწვმა“ შეიტანა სარჩელი ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში.

ეცადა რა შეესრულებინა მედიატორის როლი ამ დავაში, 2000 წლის 2 ივნისს სემეკმა მოიწვია კომისიის სხდომაზე ორივე მხარე და შეეცადა მათ მორიგებას, რაც ვერ მოხერხდა და მხარეებს მიეცა წინადადება გაეგრძელებინათ მოლაპარაკება.

ამის შემდეგ მოდავე მხარეებმა წარუდგინეს სემეკს ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს ურთიერთსაწინააღმდეგო განჩინებები (08.06.00წ. და 13.06.00წ.).

2000 წლის 13 ივნისს სემეკის სხდომა კვლავ მიედევნა მხარეთა მორიგებას და რადგანაც ეს კვლავ ვერ მოხერხდა, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შექმნილი კონფლიქტი სცილდება მის კომპეტენციას და უნდა გადაწყდეს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროებისა და სემეკის ერთობლივი მოქმედებით, რის შესახებაც ეცნობა სახელმწიფო მინისტრს ბატონ გ. არსენიშვილს (წერილი №1/28, 23.06.2000 წ.).

ამის შემდეგ კომპანიამ წარუდგინა სემეკს ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 18 ივლისის განჩინება, რომლის თანახმად სს „საქტრანსგაზმრეწვი“-ს მომართვა დატოვილ უნდა იქნას უმოდრაოდ. მთელი რიგი წერილებით კომპანიამ სემეკს აცნობა, რომ მთლიანად ფლობს სიტუაციას მაგისტრალურ გაზსადენზე, პასუხისმგებლობას იღებს მის უსაფრთხო და საიმედო ექსპლუატაციაზე და უკვე პრაქტიკულად აწარმოებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს. მანვე წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტაცია: ბრძანებები სახაზო-საექსპლუატაციო სამმართველოების უფროსების დანიშვნის შესახებ (დუშეთი, ქვეშეთი, თერჯოლა, საგურამო, გურჯაანი); მუშა-მოსამსახურეთა დამოწმებული ნუსხა სამმართველოების მიხედვით; მუშა-მოსამსახურეთა განაცხადები სამსახურში მიღების თაობაზე სამმართველოების მიხედვით; ხელფასების გაცემის უწყისები სამმართველოების მიხედვით; ინფორმაცია კომპანიის მუშა-მოსამსახურეთა კომპეტენციისა და კვალიფიკაციის ამალღების შესახებ.

2000 წლის 10 აგვისტოს სემეკის ბუნებრივი გაზის დეპარტამენტის უფროსი დ. ნამგალაძე კომპანიის გენერალურ დირექტორ გ. ვარდიაშვილთან და „USAID“-ის ენერგეტიკის საკითხებში მთავარ მრჩეველთან ჰერბერტ ემრიხთან ერთად გაეცნო მაგისტრალური გაზსადენის ტექნიკურ მდგომარეობას, მაგისტრალური გაზსადენის ერთ-ერთ ყველზე რთულ, ქვეშეთისა და ყაზბეგის სახაზო-საექსპლუატაციო ფილიალების უბნებს (2000 წლის 9 ივნისამდე სს „საქტრანსგაზმრეწვი“ ემსახურებოდა). გაზსადენის ეს უბნები ძირითადად განლაგებულია მთაგორიან, დასერილ უბნებში, რის გამოც ძალზე გართულებულია როგორც მათი ექსპლუატაცია, ასევე სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები. აღნიშნული უბნები ძალზე რთულ ტექნიკურ მდგომარეობაშია, რაც არ იძლევა გაზსადენის უსაფრთხო ექსპლუატაციის გარანტიას. ძალზე ბევრ ადგილას მილსადენი გაშიშვლებულია, გამორეცხილია და იმყოფება დაძაბულ მდგომარეობაში. განსაკუთრებით საშიში მდგომარეობაა შექმნილი გუდაურში, სადაც 120 მმ-იანი, ორ ადგილას გაშიშვლებული ხაზი გადის უშუალოდ საბაგირო გზის ქვეშ, დაბა ყაზბეგთან სოფელ ყანობის პირდაპირ ღვარცოფმა გამორეცხა ოთხი პარალელური ხაზი, ყუროს ხევში გამორეცხილია საჰაერო გადასასვლელის მარცხენა საყრდენი და ა.შ. დათვალიერებული იყო 25-მდე ობიექტი, სადაც მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა (დასაქმებული იყო 200-მდე ადამიანი და

18 ტექნიკის ერთეული). დაგეგმილი იყო ამ ობიექტების აღდგენა 2000 წლის 1 ოქტომბრამდე, რაც ძირითადად შესრულდა.

წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე 2000 წლის 11 აგვისტოს ჩატარდა სემეკის საჯარო სხდომა, რომელსაც ესწრებოდა როგორც კომპანიის, ასევე სს “საქტრანსგაზმრეწვი“-ს წარმომადგენლები, მასმედია. სხდომაზე დამატებით დაისვა საკითხი სს “საქტრანსგაზმრეწვი“-ს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ.

სემეკ-ის 2000 წლის 11 აგვისტოს №53/1 და №53/2 გადაწყვეტილებით მოდიფიცირებულია შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიისა“ და სს „საქტრანსგაზმრეწვის“ ტრანსპორტირების ლიცენზიები. აღნიშნული გადაწყვეტილებების შესაბამისად უფლება ეძლევათ:

- შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიისა“: სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციასთან“ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მართოს და ექსპლუატაცია გაუწიოს საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემას და განახორციელოს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება სს „საქგაზთან“, კომპანია “Also Trans International Ltd”–თან, სს „ეი-ი-ეს გარდაბანთან“, სს „თბილსრესთან“, შპს „გაზმშენთან“ დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

- სს „საქტრანსგაზმრეწვის“: ხელშეკრულების საფუძველზე ექსპლუატაცია გაუწიოს სს „ავტოგაზის“ მფლობელობაში არსებული მაღალი წნევის გაზსადენის განშტოებას (თბილისი, აეროპორტი) და განახორციელოს გაზის ტრანსპორტირება აღნიშნული განშტოებით.

შემდგომში კომპანიამ წარუდგინა სემეკს კორპორაციასა და კომპანიის შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაზე 2000 წლის 10 ივნისს დამატებით მიღებული ცვლილებები; საექსპლუატაციო ფილიალების საშტატო განრიგი; კომპანიის აპარატის თანამშრომელთა სია, რომლებმაც 2000 წელს გაიარეს სწავლება, ჩააბარეს გამოცდები და მიიღეს უფლება მაგისტრალური გაზსადენების მომსახურებაზე; ქ. თბილისის სასამართლოს 2000 წლის 8 აგვისტოს განჩინება, რომლის თანახმად სს „საქტრანსგაზმრეწვის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა – ძალაში რჩება ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 13 ივნისის განჩინება, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 20 აპრილის №206 ბრძანებულების შესაბამისად, რომლითაც საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციას გადაეცა საქართველოს მაგისტრალური გაზსადენები ფლობის, სარგებლობის, მართვის, ექსპლუატაციის, რეკონსტრუქციის უფლებით, საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციასთან ან მის რწმუნებულ ორგანიზაციებთან ხელშეკრულების გარეშე, არც ერთ იურიდიულ პირს არა აქვს უფლება გაუწიოს ექსპლუატაცია ან აწარმოოს რაიმე საქმიანობა საქართველოს მაგისტრალურ გაზსადენებზე.

ლიცენზიების პირობების შესრულების შემოწმების მიზნით სემეკ-ის ბუნებრივი გაზის დეპარტამენტის უფროსი 2000 წლის 9 სექტემბერს დაესწრო შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ საგურამოსა და თერჯოლის სახაზო-საექსპლუატაციო ფილიალების თანამშრომელთა საწარმოო თათბირს, რომელზედაც ამოცანებიდან ძირითადები იყო: აღრიცხვიანობის წესრიგში მოყვანა და

ბუნებრივი გაზის დანაკარგების შემცირება (აღრიცხვიანობის მოწესრიგებაში გარკვეულ დახმარებას თავის თავზე იღებს “USAID”-ი).

გარკვეული სამუშაოები განხორციელდა ბუნებრივი გაზის სექტორში ნორმატული დოკუმენტაციის სრულყოფის მიზნით. კერძოდ, 2000 წელს ბუნებრივი გაზის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული იქნა:

- განაცხადის ახალი ფორმები ბუნებრივი გაზის მიწოდების, ტრანსპორტირებისა და განაწილების ლიცენზიატებისათვის;
- კალკულაციის მაკეტები ბუნებრივი გაზის მიწოდების, განაწილების ლიცენზიატებისათვის;
- ბუნებრივი გაზის რეალიზაციის კრიტიკული (უზარალო) მოცულობის მაჩვენებლის დადგენისათვის;
- ბუნებრივი გაზის ლიცენზიატის დაზუსტებული პასპორტი.

3.3 სერტიფიკაციის სამუშაოთა ორ განიხება და კოორდინაცია

საქართველოს კანონებით „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ (თავი ორი, მუხლი 4-ის მე-5 პუნქტის ე-ქვეპუნქტი) და „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ (თავი ორი, მუხლი 9 და მუხლი 10) საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ევალება ენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში სავალდებულო სერტიფიკაციის სამუშაოთა ორგანიზება და კოორდინაცია.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

1. გაგრძელდა მუშაობა ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში სერტიფიკაციის სახელმწიფო სისტემის ფუძემდებლური დოკუმენტების პროექტების სრულყოფაზე.
2. დაიწყო ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სფეროში სერტიფიკაციის სახელმწიფო სისტემის „ცენტრალური ორგანოს დებულების“ პროექტის საბოლოო ვარიანტი, რასაც წინ უსწრებდა მრავალჯერადი შეხვედრები და კონსულტაციები „საქსტანდარტსა“ და იუსტიციის სამინისტროში. დებულების პროექტი შეთანხმებულია „საქსტანდარტთან“; მიღებულია იუსტიციის სამინისტროს დადებითი სამართლებრივი დასკვნა, რის საფუძველზეც მომზადდა სემეკის დადგენილების პროექტი ცენტრალური ორგანოს დებულების დამტკიცების შესახებ. ამავე დადგენილებით გათვალისწინებულია ცენტრალური ორგანოს ფუნქციები განესაზღვროს სემეკის აპარატს.
3. შესწავლილი იქნა სერტიფიკაციის სამუშაოების ჩატარებაში მონაწილე აკრედიტებული საგამოცდო ცენტრებისა და ლაბორატორიების სავარაუდო რაოდენობა და მათი შესაძლებლობები (ტექნიკური ბაზა, კომპენტენცია, კადრები).
4. შედგა და „საქსტანდარტს“ გადაეცა განსახილველად ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში სერტიფიკაციის სახელმწიფო სისტემის ფუნქციონირებისათვის საჭირო ექსპერტების სპეციალიზაციის სავარაუდო ჩამონათვალი.

ელექტროენერგეტიკაში:

- ა). ელექტროსადგურების ჰიდროტექნიკური ნაწილის ექსპერტი;
 - ბ). თბოელექტროსადგურების თბური ნაწილის ექსპერტი;
 - გ). ელექტროსადგურების ელექტრული ნაწილის ექსპერტი;
 - დ). გადამცემი და გამანაწილებელი ელექტროქსელის ექსპერტი;
 - ე). გაზომვის სისტემების, ტექნოლოგიური და ავარიასაწინააღმდეგო ავტომატიკის და რელეური დაცვის ექსპერტი;
 - ვ). ელექტრო და ეკოლოგიური უსაფრთხოების ექსპერტი.
ბუნებრივი გაზის სექტორში:
 - ა). ტრანსპორტირებისა და განაწილების სისტემების, ელექტროქიმიური დაცვის და ავტომობილების გაზის გასამართი სადგურების ექსპერტი;
 - ბ). გაზის ხარისხის გამსაზღვრელი ექსპერტი;
 - გ). საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების და გაზის ხარჯის აღრიცხვის ექსპერტი.
5. მოპოვებული იქნა ინფორმაცია სემეკის ლიცენზიატებისა და პირდაპირი მომხმარებლების ძირითადი დანადგარების პასპორტების დაცულობის, წარმოების და განახლების შესახებ. მათი ანალიზის საფუძველზე ცხადი გახდა, რომ მთლიანად ენერგოსისტემაში ამ მიმართებით სერიოზული და შრომატევადი სამუშაოებია ჩასატარებელი.

საზოგადოებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა

ა. საზოგადოებასთან ურთიერთობა

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური სემეკში 1 წელზე მეტია მოქმედებს (შეიქმნა 1999 წლის 16 სექტემბერს).

საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა უზრუნველყო სატელევიზიო გამოსვლები, რომლებიც ენერგეტიკის მწვავე საკითხებს ეხებოდა. სისტემატურად შეუქდებოდა პრესის საშუალებით სემეკის წევრთა ინფორმაცია ლიცენზირებისა და ტარიფის შესახებ (ვიდეო მასალა და საგაზეთო პუბლიკაციები ინახება საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში).

1. მაისში ჩატარდა პრესკონფერენცია, რომელშიც საქართველოში მივლინებულმა ამერიკელმა კოლეგებმა, კერძოდ მიჩიგანის მარეგულირებელი კომისიის წევრებმა მიიღეს მონაწილეობა. შეხვედრის ძირითადი თემა იყო ამერიკელი კოლეგების ინფორმაცია და მათი მუშაობის გამოცდილების გაზიარება („ამერიკელი მარეგულირებლები სემინარებს ატარებენ“ – გაზ. „ალია“ 9-10 მაისი; „სემეკ-ი ინფორმაციის ნაკლებობას „უჩივის“ – გაზ. „ექო დაიჯესტი“ 10-11 მაისი; „Общие интересы и разные возможности“ – გაზ. „სვობოდნაია გრუზია“ 9 მაისი).

2. შეხვედრა, რომელიც საქართველოში ელექტროენერჯის ტარიფის ზრდის მიზეზებს ეხებოდა, აგვისტოში ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღეს, როგორც მასმედიის წარმომადგენლებმა, ასევე საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა (დარგობრივი პროფკავშირები, საქართველოს მომხმარებელთა კავშირი,

საქართველოს ენერგეტიკოსთა საზოგადოება და ა. შ.). შეხვედრის მიზანი იყო წინასწარ შეექმნა დადებითი სოციალური ფონი საზოგადოებაში, რათა ტარიფის ცვლილებას არ გამოეწვია საერთაშორისო ნორმებით მინიჭებული მომხმარებელთა უფლებების ხელყოფა. („ელექტროენერჯის საცალო და საბითუმო ტარიფების შესახებ“ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ – 3-4 სექტემბერი).

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ინიციატივით დაიბეჭდა საინფორმაციო ბიულეტენი, რომელიც სემეკ-ის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს. მასში მოკლელაა აღწერილი თუ რას წარმოადგენს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია და რა ფუნქციები ეკისრება მას.

მიმდინარე წლის ოქტომბერში სემეკის თანამშრომლები სახელდობრ, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი მივლინებით იმყოფებოდა მიჩიგანის კომუნალური სამსახურის მარეგულირებელ კომისიაში. ვიზიტმა ხელი შეუწყო მომხმარებელთან და მედიასთან ურთიერთობის გამოცდილების გაზიარების პროცესს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება ითვალისწინებს, როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტს, მათთან ერთობლივ დებატებსა და შეხვედრებს (საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციისა და სემეკ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ერთობლივი შეხვედრები თემაზე: „როგორ იწარმოებს ელექტროენერჯის გადასახადი საერთო მოხმარების ფართზე; „ხელშეკრულება „აი-ი-ეს თელასსა“ და მომხმარებელთა შორის“ – 29.09.2000წ. „არსებობს თუ არა მომხმარებელთა უფლებების სოციალური დაცვის მექანიზმი“ – 05.11.2000წ; „რას მოგვიტანს ჰიდროელექტროსადგურების პრივატიზაცია“ – 08.11.2000წ.).

უნდა აღინიშნოს, რომ სემეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ჯერჯერობით ვერ ართმევს თავს მასზე დაკისრებულ ამოცანებს; კერძოდ, ზუსტად შუქდება სემეკის როლი და მუშაობა. სემეკი იღებს ზომებს ამ სამსახურის გაძლიერებისათვის.

ბ. საერთაშორისო ურთიერთობა

სემეკი საანგარიშო წელს აგრძელებდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონტაქტებს, რომელიც მისი შექმნის დროიდან ჩამოყალიბდა. მათ შორის აღსანიშნავია:

2000 წლის 16 თებერვალს სემეკში ჩატარდა სემინარი, რომელიც მიჰყავდა ინგლისურ-ამერიკული ფირმა PB-ს ბიზნესის განვითარების დირექტორს დასავლეთ ევროპასა და აფრიკაში, ბარი კოლინზს (Barry Collins). სემინარის ძირითადი თემა იყო სატარიფო პოლიტიკა და კონკურენცია გაერთიანებული სამეფოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის მოღვაწეობის ბოლო 12 წლის მაგალითზე.

2000 წლის 14 თებერვალს “Hagler Bailly”-ს მენეჯერმა პიტერ რედფორდმა (Peter A. Bradford) ბუნებრივი გაზის დეპარტამენტის თხოვნის შესაბამისად გადასცა სემეკ-ს მიჩიგანის შტატის და აშშ-ს ფედერალური მარეგულირებელი კომისიის სტრუქტურა.

2000 წლის 4-11 მაისს სემეკ-ში იმყოფებოდა მიჩიგანის მარეგულირებელი კომისიის დელეგაცია, რომლის წევრმა, კომისიის გაზის დეპარტამენტის უფროსმა მაიკლ კიდმა (Michael J. Kidd), ჩაატარა სემინარი, რომელიც ეძღვნებოდა სატარიფო პოლიტიკას, ლიცენზიატებზე ზედამხედველობის მექანიზმს და სადავო საკითხებს როგორც ლიცენზიანტებს, ასევე ლიცენზიატებსა და კომისიას შორის. მანვე, სემეკის თხოვნით, აშშ-ში დაბრუნების შემდეგ გამოუგზავნა სემეკ-ს დიდი მოცულობის ტექნიკური ლიტერატურა.

2000 წლის 16 მარტს შედგა შეხვედრა “Hagler Bailly”-ს ინჟინერთან ბაგრატ საფარიანთან (Bagrat Safarian) და ჩარლზ სეტთან (Charles Setian). საუბარი შეეხებოდა სს „თბილგაზის“ პრივატიზაციის პროცესს, კერძოდ, ბუნებრივი გაზის აღრიცხვას. შემდგომში ჩარლზ სეტთანმა გამოუგზავნა სემეკ-ს სომხეთისათვის მომზადებული მასალა აღურიცხავი გაზის შესახებ.

საანგარიშო წელს სემეკის თანამშრომლები იმყოფებოდნენ მივლინებებში სხვადასხვა ქალაქებში. მაგალითად, ბუნებრივი გაზის დეპარტამენტის ექსპერტი ი. ხეროდინაშვილი იმყოფებოდა მივლინებით ქ. სანკტ-პეტერბურგში (22-27 მაისი) გამოფენა სიმპოზიუმზე: IV Международная выставка газовой промышленности и технических средств для газового хозяйства – Рос-Газ-Экспо.

2000 წლის 11-13 დეკემბერს სემეკის ექვსკაციანმა დელეგაციამ (ხელმძღვანელი ელ. ერისთავი) მონაწილეობა მიიღო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიის ქვეყნების ენერგეტიკის რეგულირების მე-4-ე ყოველწლიურ კონფერენციაში, რომელიც ჩატარდა ქ. ბუქარესტში (რუმინეთი).

კონფერენციაში მონაწილეობდა შემდეგი ქვეყნები: ალბანეთი (ელექტროენერგეტიკის რეგულირების სამმართველო); სომხეთი (ენერგეტიკის კომისია); ბოსნია და ჰერცეგოვინა (ენერგეტიკის ფედერალური სამინისტრო); ბულგარეთი (ენერგეტიკის რეგულირების სახელმწიფო კომისია); ხორვატია (ენერგეტიკის ინსტიტუტი); ესტონეთი (ელექტრობაზრის ინსპექცია); უნგრეთი (ენერგეტიკის სამმართველო); საქართველო (ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია); ყაზახეთი (ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების, კონკურენციის დაცვისა და მცირე ბიზნესის მხარდამჭერი სააგენტო); ყირგიზეთი (მთავრობასთან არსებული ენერგეტიკის სახელმწიფო სააგენტო); ლატვია (ენერგეტიკის რეგულირების საბჭო); ლიტვა.

კონფერენცია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტითაც აღინიშნა – მოხდა ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოების რეგიონალური ასოციაციის შექმნა (ERRA) და მისი წესდების მიღება. დამფუძნებლების როლში გამოვიდნენ 15 ქვეყნის ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიები, მათ შორის საქართველოც. ასოციაციის დაფუძნების ოქმს ხელი მოაწერა სემეკის თავმჯდომარემ ელ. ერისთავმა. ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს უნგრეთის წარმომადგენელი პეტერ კადერიაკი. ასოციაციის შტაბ-ბინად შერჩეული იქნა ბუდაპეშტი.

ასოციაციის მიზანია:

- ორგანიზაციის წევრ-ქვეყნებში ენერგეტიკის რეგულირების პროცესის სრულყოფა, რეგულირების მეთოდებისა და პრაქტიკის ეფექტურობის ამაღლება;
- სტაბილური, დამოუკიდებელი და საკმარისი უფლებების მქონე ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოების განვითარების ხელშეწყობა;

– ენერგეტიკის მარეგულირებელ ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესება.

ასოციაციამ უნდა უზრუნველყოს:

– ასოციაციის წევრებს შორის მყარი კავშირების დამყარება და კვლევების შედეგებისა და გამოცდილების შესახებ ინფორმაციის გაცვლა;

– რეგულირების სფეროში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მიერ დაგროვილი ინფორმაციისა და გამოცდილებისადმი ფართე ხელმისაწვდომლობა.

თავისი მიზნების მისაღწევად ასოციაცია გამოიყენებს შემოწირულობებს, გრანტებს, საწევრო გადასახადებს; შეიძლება განაახოციელოს სამეწარმეო საქმიანობა ან შექმნას საქველმოქმედო ფონდები. ორგანიზაციის მთელი შემოსავალი მოხმარდება მხოლოდ ასოციაციის ინტერესებს.

კონფერენციამ მიიღო ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოების „საქმიანი ეთიკის კოდექსი“ და მთელი რიგი დასკვნითი დოკუმენტები.

კონფერენციამ ჩაიარა საქმიან ვითარებაში. მისი შედეგები უთუოდ სასარგებლო იყო ყველა მისი მონაწილისათვის და მათ შორის საქართველოს დელეგაციისათვის.

4. ၉ ၁ ၆ ၁ ၈ ၈ ၂ ၀

**სემეკის მიერ 2000 წელს მიღებული დადგენილებებისა და
გადაწყვეტილების ნუსხა**

ნომერი №	თარიღი	დადგენილებების და გადაწყვეტილებების დასახელება	შენიშვნა
და დგენილებები:			
#1	14.02.00	„სემეკის 1999 წლის 31 მაისის #2 დადგენილებით დამტკიცებულ საბაზრო წესებში (საბითუმო ბაზრის წევრთა გენერალურ ხელშეკრულებაში) ცვლილებებისა და დამატებების დამტკიცების შესახებ“	
#2	21.02.00	ელექტრობაზრის მიდგომებისათვის ელენერჯის მიწოდების (შეზღუდვის) დროებითი პირობები, წესები და პროცედურები	
#3	24.03.00	„ელენერჯის სატარიფო სისტემის მოწესრიგების შესახებ“ სემეკის 1999 წლის 31 მაისის #1 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ	
#4	06.04.00	ლიცენზიატებს, ლიცენზიატებსა და მომხმარებლებს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების განხილვის პროცედურული წესების დამტკიცების შესახებ	
#5	15.05.00	დებულება ელექტრობაზარზე სადავო საკითხების პროცედურული წესების შესახებ	
#6	17.05.00	სემეკის 1999 წლის 27 აგვისტოს #5 დადგენილებაში „ბუნებრივი გაზით მომარაგების სფეროში სატარიფო სისტემის ეტაპობრივი მოწესრიგების შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების შესახებ	
#7	31.05.00	სს „ავტოგაზისათვის“ ავტომანქანების გასამართი დაწესილი გაზის საცალო ფასის დადგენის შესახებ	
#8	31.08.00	ელექტროენერჯის საბითუმო და საცალო ტარიფების შესახებ	
#9	12.09.00	სემეკის 06.04.00 #4 დადგენილებაში „ლიცენზიატებს, ლიცენზიატებსა და მომხმარებლებს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების განხილვის პროცედურული წესების დამტკიცების შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე	
#10	06.12.00	„ელექტროენერჯის ნერჯის საცალო და საბითუმო ტარიფების შესახებ“ სემეკის 31.08.00 #8 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატებების“ შეტანის შესახებ (ხრამჭყისი)	

გა დაწყვე ტი ლებები:

#1	13.01.00წ.	მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის მიერ ელექტროენერჯის მიღებაზე დადებული ხელშეკრულებების შეთანხმების შესახებ	
#2/1	21.01.00წ.	შპს „ორთაქალას 110/35 კვ ქვესადგურით მომსახურების საფასურის შესახებ	
#2/2	21.01.00	საქართველოს ენერჯისტიკის 35-500 კვ და 0.4-6(10) ელექტრულ ქსელებში ელენერჯის გადაცემა-განაწილებისას ელენერჯის ტექნოლოგიური დანახარჯების (დანაკარგების) დადგენის შესახებ	
#3	21.02.00	შპს „საქართველოს რეინგზასა“ და სს „ელექტროგადაცემას“ შორის ელენერჯის გადაცემის მომსახურების საფასურის ანაზღაურებასთან დაკავშირებული დავის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ	
#4	01.02.00	სს „ეი-ი-ეს თელასის“ 1999 წლის 24 დეკემბრის ელენერჯის იმპორტის #001 ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ	
#5	01.02.00	საქრუსენერჯოს ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზიის გაცემაზე	
#6	16.02.00	შპს „ეი-ი-ეს გარდაბანზე“ ელენერჯის წარმოების, შპს „ეი-ი-ს ტრანსენერჯეტიკის“ ექსპორტის და იმპორტის ლიცენზიების გაცემის შესახებ	
#7	16.02.00	თბილისში მომხმარებელთა მიერ უმრიცხველოდ დანარჯული ელენერჯის საფასურის ანგარიშსწორების დროებით ღონისძიებათა შესახებ	
#8	23.02.00	ლიცენზიების გაცემა ელექტროენერჯეტიკულ სექტორში	
#9	23.02.00	სს „თბილსრესის“ მე-9 და მე-10 ენერჯობლოკების პრივატიზაციასთან დაკავშირებით	
#10	23.02.00	შპს „ბიძოს“ მიერ სატრანზიტო მომსახურების ტარიფის დადგენის შესახებ	
#11	23.02.00	სს „კასპიგაზისა“ და მცხეთაგაზისათვის“ პირდაპირ მომხმარებლებზე ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფების შესახებ	
#12	23.02.00	შპს „ექსისათვის“ ბუნებრივი გაზის საფასურის დადგენის შესახებ	
#13	17.03.00	შპს „ეი-ი-ეს გარდაბანზე“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიის გაცემის, შპს „ეი-ი-ეს გარდაბანსა“ და სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციას“	

		შორის, შპს „ეი-ი-ეს გარდაბანსა“, „საქნავთობსა“ და ნინოწმინდის ნავთობის კომპანიას შორის ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ	
#14	17.03.00	ელექტროენერჯის წარმოებისა და განაწილების ლიცენზიების გაცემა	
#15	17.03.00	ბუნებრივი გაზის ლიცენზიების გაცემის შესახებ	
#16	17.03.00	შპს „სიონჰესი-98“-ის ოფისის ელენერჯით მომარაგების შესახებ	
#17	17.03.00	შპს თბილისის მეტროპოლიტენის ნ/10 კვ-ისა და 0,4 კვ ძაბვის ძალოვანი ქსელის მომხმარებლების მიერ ელენერჯის შესასყიდი ტარიფების დადგენის შესახებ	
#18/1	17.03.00	ენერგეტიკის დარგში კვალიფიცირებული აუდიტორული მომსახურების სრულყოფის ცალკეულ ღონისძიებათა შესახებ	
#18/2	17.03.00	სემკის 1999 წლის წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ	
#19	27.03.00	სს „ელექტროგადაცემისათვის“ ელენერჯის ექსპორტის ლიცენზიის გაცემის შესახებ	
#20	27.03.00	ელენერჯის გრძელვადიანი ტარიფის დადგენის პრინციპებისა და მისი ინდექსაციის წესის შესახებ	
#21	29.03.00	საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრისათვის საქართველოს ენერჯისტიკაში ელენერჯის გამომუშავების, გადაცემის, დისპეტჩინგისა, განაწილების, პირდაპირი მომხმარებლის და ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის ექსკლუზიური უფლების შესახებ	
#22	29.03.00	შპს „პროგრესი“ საკუთრებაში მყოფი „წყალტუბოს 110“ კვ (ვარცინეჰესი-I ქვესადგური წყალტუბო“) ელგადამცემი ხაზისათვის გადაცემის ტარიფის დადგენის შესახებ	
#23	29.04.00	ქ. თბილისში მომხმარებელთა მიერ დახარჯული ელენერჯის საფასურის ანგარიშსწორების ზაფხულის რეჟიმზე გადასვლის შესახებ	
#24	29.04.00	ელექტროენერგეტიკის სექტორში პრივატიზაციის მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით შუალედური ლიცენზიების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ	
#25	29.04.00	სს „კასპიგაზის“ მიერ სს „არომატისათვის“ ბუნებრივი გაზის გატარების ტარიფის შესახებ	
#26	26.04.00	სს „კასპიგაზის“ მიერ სს „მეტენის კერამიკასა და სს „მეტენისათვის“ ბუნებრივი გაზის გატარების ტარიფის შესახებ	

#27	28.04.00	გარდაბნის სოფლის წყალსადენების საექსპლოატაციო სამშენებლო-სარემონტო სამმართველოსათვის ელენერგის შესასყიდი ტარიფის დადგენის შესახებ	
#28	16.05.00	ბუნებრივი გაზის მომარაგების სფეროში ფიქსირებული გადასახდის ეტაპობრივი მოწესრიგების შესახებ	
#29	16.05.00	სს „თბილგაზის“ მიერ „თბილთეცისათვის“ ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფის შესახებ	
#30	16.06.00	სს „გურჯაანის“ მიერ ბირდაპირი მომხმარებლებისათვის ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფის შესახებ	
#31	17.05.00	სს „სამტრედიისაგაზის“ მიერ შპს „მამულისათვის“ და შპს „ჯეჯილისათვის“ მიწოდებული ბუნებრივი გაზის საცალო ტარიფების შესახებ	
#32	17.05.00	სს „თეთრიწყაროგაზის“ მიერ ორგანიზაციებისათვის მიწოდებული ბუნებრივი გაზის საცალო ტარიფის შესახებ	
#33	17.05.00	საქართველოს ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, ჰიდროპროექტისა და ენერგოქსელბროექტის დაფინანსების დროებითი წესის დამტკიცების შესახებ	
#34	17.05.00	საქართველოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ენერგოგენერაციის დაფინანსების დროებითი წესის დამტკიცების შესახებ	
#35	17.05.00	საბითუმო ბაზარსა და ელენერგის წარმოების ლიცენზიატებს შორის ელენერგის მიღება-მიწოდების ანგარიშსწორების მოწესრიგების შესახებ	
#36	17.05.00	სს ჩხორჰესისათვის 35/10 კვ დამწვევი ქვესადგურისა და 10-0.4 კვ გამანაწილებელი ელექტროქსელის მომსახურებაზე ტარიფების დადგენის შესახებ	
#37	28.06.00	სემეკის 2000 წლის 29 მარტის #24 გადაწყვეტილებაში „ელექტროენერგეტიკის სექტორში პრივატიზაციის მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით შუალედური ლიცენზიების მოქმედების ვადების გაგრძელების შესახებ“ ცვლილებების თაობაზე	
#38	28.06.00	ელენერგეტიკის სექტორში ელექტროენერგის წარმოების, განაწილებისა და იმპორტის ლიცენზიების გაცემის შესახებ	
#39	28.06.00	ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზიების გაცემის შესახებ	
#40	28.06.00	სემეკის შინაგანაწესისა და შინაგანაწესის დანართის დამტკიცების შესახებ	
#41	28.06.00	სს „რუსთაგაზის“ მიერ სს „მეტალურგიული კომბინატის“, სს „რუსთაგაგემენტის“, შპს „ალსო ტრანს ინტერნეიშნელ“-ის და რუსთაგის მერიისათვის ბუნებრივი გაზის	

		განაწილების ტარიფების შესახებ	
#42	28.06.00	სს „ქუთაისგაზის“ მიერ ქუთაისის ლითოფონის ქარხნისათვის ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფის შესახებ	
